ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიმეორე

1928 № 17

სახელგამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზეგოლ!

არ დაივიწყოთ, რომ

15 სექტემბერს სრულდება „პიონერის“ არსებობის

ორი წელი

შინაარსი:

		გვ.
1.	რადიომშენებელი — შ. შანიძე	2
2.	პიონერების მარში — ალ. მაშაშვილი	3
3.	პიონერები ბანაკად — დ. ციცქიშვილი	7
4.	ხანძარი ზღვაზე — მ. პეტრიაშვილი	10
5.	რა ევალება ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულს	16
6.	როგორ იბრძოდენ ბატარა რევოლუციონერები	17
7.	გერმანელი პიონერები — გ. ზ.	19
8.	უბის წიგნაკი — ანი	21
9.	იაპონია — ალ. გორგაძე	22
10.	რა არის პინგ-პონგი? — სანი	23
11.	ჩვენი ვიქტორინა	24

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
329-153(05)
Მ-147

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲐᲕ ᲛᲖᲐᲓ!

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

1928
15 სექტემბერი

საქართველოს მ. ვ. ო. ცენტრალური მიუწოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცუკასთან) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი მაგშემისათვის

წელიწადი III
№ 17

ჩეხია-სლოვაკიის კომუნისტი კრეიბიხი ზანგ ბავშვებს უხსნის ლენინიზმის მოძღვრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაღიი მშენებელი

მოთხრობა

უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც შავი ზღვის ნაპირებზე, ბათუმის ნავსადგურის მიდამოებში, კარგი ამინდი დადგა. გემი „ქორი“ ემზადება გასამგზავრებლად. მასთან ერთად ემზადება პიონერი ვასოც, მეზღვაური ივანე ახალკაციშვილის შვილი. ის დღეს მთელი დღე დარბოდა ქალაქის გავარვარებულ ქუჩებში, ყიდულობდა შეგროვებული კაპიკებით თავისი რადიომიმღებისათვის ახალ ნაწილებს.

გაოფლიანებულმა, ? რველად აირბინა მან ნავზე. ხანგრძლივად და შეშინებული ათვალიერებდა ის, ხომ არ არის გემის მახლობლად კაპიტანი სმურგსიო. კაპიტანს არ უყვარდა ვასოს წამოწყებული საქმე—რადიომიმღების მოწყობა. ერთხელ ის კ ოდეც გამოედო მავთულს, რომელსაც ვასო შლიდა ნავის ბაქანაზე და კინაღამ გაიშხლართა თავისი მეზღვაურების წინაშე, მაგრამ მეზღვაურის სიყოჩაღემ იხსნა კაპიტანი ასეთი სირცხვილისაგან. სამაგიეროდ ის ისე გაბრაზდა, რომ დაემუქრა გადაეგდო რადიომიმღები ზღვაში, თუკი კიდევ შეხვდებოდა იმით ვასო.

ვასო მშვიდობიანად ჩავიდა მეზღვაურების კაიუტაში და დაჯდა მამის ლოგინზე. მას მახლობლად ჰქონდა რადიომიმღები, ხოლო ჭერქვეშ კი ეკიდა ხის ჩარჩოზე გადაჭიმული ანტენა. ცოტა დასვენების შემდეგ ვასომ მოაწყო თავისი რადიო მიმღები. ბათუმის ნავსადგურის რადიოსადგური იტყობინებოდა: „ჰქრის ნორდ-ოსტი. ამინდი შეიცვლება“.

— ოო! — გაიფიქრა ვასომ — ალბათ, ღელვა იქნება.

ცოტა ხნის შემდეგ ვასომ წესრიგში მოიყვანა რადიომოწყობილობა და გემის ბაქანზე ავიდა.

„ქორი“ უკვე ნავსადგურს შორდებოდა.

ვასომ ხარბად შეისუნთქა ზღვის ჯანსაღი ჰაერი. მის სულში დღეობა იყო კარგი ღრისაგან, ზღვისაგან და იმისგან, რომ მას მოწყობილი ჰქონდა რადიომიმღები და, საერთოდ, ყველა მომავალ მოულოდნელობათაგან, რაც მას შეხვდება ცხოვრებაში.

საღამოს ქარი გაძლიერდა. კაპიტანმა უბრძანა მეზღვაურებს აეწიათ იალქნები. ისინი უზარმაზარი ფრთებივით აფრიალდენ. ჩამობნელდა. აანთეს სანთლები. ზღვა მოიღუშა.

ვასო დაწვა ლოგინზე და რადიომიმღების მილი აიღო ხელში. ბათუმის სადგურიდან ხმა უკვე აღარ მოისმოდა, — სამაგიეროდ ისმოდა სხვა სადგურებიდან, მაგრამ ისინი არ ლაპარაკობდენ არც ქართულად და არც რუსულად. ვასოს არაფერი არ გაეგებოდა. მაგრამ აი მან მოულოდნელად გაიგონა რუსული სიტყვები:

„ლაპარაკობს გემი „ბათუმი“. მივდივარ ნოვოროსიისკიდან სოხუმში. მყავს მგზავრები... ხვალ დილით ვიქნები სოხუმში“...

შემდეგ კვლავ აირია ხმები... ვასოს არაფერი გაეგებოდა. მაგრამ აი მისმა სახემ გაიღიმა კმაყოფილებით. მას მოესმა საყვარელი სიმღერა:

„ჩვენო გემო, იარე წინ“...

გემი, ზღვა—ყველაფერი ერთი წუთით გაქრა ვასოს წინ. მან წარმოიდგინა თავისი თავი ტფილისში, ოპერის თეატრში, სადაც საბჭოების ყრილობა მიმდინარეობს. აი, სცენაზე არის ფ. მახარაძე. ვასოს თითქოს მისცეს ნება მისი სიტყვა გადასცეს რადიოთი. აი, ის უკვე რადიოსადგურზეა... გადაბრუნებს ძლიერ გადამცემს, და ფ. მახარაძის სიტყვას მოისმენენ შორს, ძლიერ შორს...

ვასო მეორე გადამცემზე ხედავს დიდ გამხლოებელს. მას აწერია:

„გამოხატულებათა გადაცემა“.

ის მოაბრუნებს ამ გადამცემს. ეკრანზე სხდომის დარბაზი გამოჩნდება. ვასო ხედავს: სტალინს, ბუხარინს, ორჯონიკიძეს და სხვა ნაცნობ სახეებს სურათებით. ყველანი ტაშს უკრავენ ბელადებს, თავდავიწყებული ვასოც უკრავს ტაშს. ეკრანი მოულოდნელად ბნელდება. ყველაფერი გაქრა. ვასო კინაღამ ატირდა: ნუთუ ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ მან დაივიწყა და დაუკრა ტაში. მაგრამ სიბნელე კვლავ გაიფანტა და ეკრანზე გამოჩნდა ლამაზი ბუნება. ვასო ძლიერად აჭყეტს თვალებს: მის წინ თანდათან ნათდება სცენა: ეს ხომ ისევ ტფილისის ოპერის თეატრია! დიახ, ეხლა საბჭოების ყრილობა დასრულდა და ყრილობის მონაწილეთათვის მიდის ოპერა. მუსიკა თანდათან ძლიერდება. ის აღტაცებული ზღვის ხმაურს ჰგავს...

დიდხანს არის ვასო ამ მუსიკის გავლენის ქვეშ... მაგრამ მოულოდნელად გაისმის მეხის ხმა... ვასო შეშინებული წამოხტება და შეყვირებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს კი მოისმის ჭრიალი, თითქოს გემი გაიბზარაო.

ვასოს ხელიდან უვარდება რადიოს მილი, რომელიც იატაკზე ეცემა. მისგან მოისმის ყრუ ხრიალი...

— აი, რამ შემაშინა! — გაღიმებით ამბობს ცოტა ხნის გამორკვევის შემდეგ ვასო. ის იღებს ფრთხილად მილს და თავის ადგილას ჰკიდებს.

კაიუტაში ბნელა. გემის კედლებს ზღვის ტალღები ფართედ და ძლიერად ეხლება. „ქორი“ ქანაობს, ხან ზევით აიწევს, ხან ქვევით დაეშვება.

ვასო წვება, თავზედაც იხურავს საბანს და ისე იმალება. მას კიდევ სურს ტკბილი ძილი...

* * *

ვასომ დილით ადრე გაიღვიძა.

მისი მამა კაიუტაში არ იყო. ის წუხელი მორიგეობდა.

ვასო გემის ბაქანზე გამოვიდა. მზე თითქოს მხოლოდ მისკენ იყო მიპყრობილი, მას დასცქეროდა: ის მივიდა მამასთან.

— რატომ ამდგარხარ ასე ადრე? — მიმართა ვასოს მამამ დანახვაზე...

— ზღვის დანახვა მინდოდა...

— ზღვის დანახვასაც მოესწრებოდი...

— იყო თუ არა ღამით ქუხილი? — შეეკითხა ვასო მამას...

— შენ კი არ გაგიგონია? მერე როგორი! არ ველოდით გადარჩენას.

— მე ვიცოდი, რომ ქუხილი იქნებოდა, — დაიტრაბახა ვასომ, — მე ყველაფერი რადიოთი გადმომცეს...

შემდეგ ვასომ მამას უამბო თავისი ღამის თავგადასავალი, თუ რა სიზმრები ნახა... მამა გაღიმებული უსმენდა შვილის გატაცებულ მოთხრობას...

ცოტა ხნის შემდეგ ვასო კვლავ კაიუტისაკენ წავიდა, მას თავისი მეგობრის — რადიომიმღების — ნახვა აინტერესებდა.

ვასომ აიღო ხელში მილი. რაღაც არეული და შეშინებული ხმები ისმოდა იქედან. ერთად რამდენიმე ხმა იძახოდა. ვასომ დასჭიმა სმენა და გაარჩია მხოლოდ ერთი სიტყვა: „ბათუმი“. ის რამდენიმეჯერ გამეორდა. შემდეგ კიდევ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმა: „დაგვეხმარეთ“... და კვლავ ყველაფერი აირია... დაბოლოს, ვასომ გაიგონა: „სიგრძედი — 36, განივი — 44. იჩქარეთ, დაგვეხმარეთ“...



იალქნიანი გემი „ქორი“ მიუახლოვდა „ბათუმს“

რადიოს მილში მოსულ სხვადასხვა ხმათა და ხმაურობათა შორის ვასო დროგამოშვებით გარკვეულად არჩევდა რადიოტელეგრაფის ხმებს: სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი... — — — ... ვასომ იცოდა, რომ მორზეს ტელეგრაფის ანბანზე ეს ნიშნები აღნიშნავს სამ ასოს **სოს** (სამი წერტილი ეს არის ასო **ს**, ხოლო სამი ტირე კი ასო **ო**).

სიტყვა **სოს** — ეს არის დახმარების სათხოვნელი ძახილი. **სოს** — ეს არის ის საშინელი სიტყვა, რომელიც ყოველმა მეზღვაურმა იცის.

— ეს ხომ გემი იღუპება, — თავისთვის სთქვა ვასომ... დიდი ხანი აღარ დაუგვიანებია და გაქანდა ზევით, მამისაკენ.

აღელვებული ვასო მივარდა მამას და ეუბნება:

— „ბათუმი“ იღუპება... დახმარებას თხოულობენ...

— რას ბოდავ?—გაბრაზდა მამა. —რა „ბათუმი“ მოგელანდა? ნუთუ სულ უნდა იხუმრო შენი რაღაცა მოწყობილობით... გეყოფა ხუმრობა!..

— რატომ არ გინდა მომისმინო? – გაუძალდა ვასო,—მიდი რადიომიმღებთან და ყველაფერს გაიგონებ...

— ნუთუ შენ არ იცი ჩვენი წესები? მე არ შემიძლია მორიგეობიდან წავიდე...

სასოწარკვეთილი ვასო აღელვებული იყო. ის არ ეშვებოდა მამას;

— იქ ხომ ადამიანები იღუპებიან!.. მე სიმართლეს გეუბნები...

მეზღვაურმა წარბები შეიჭმუხნა:

— აი რა: გაიქეცი ნიკოსთან, გააღვიძე. სულ-ერთია, მალე უნდა შემცვალოს. დე, მან შეამოწმოს... მაგრამ, თუ მოიგონე, უმჯობესია ხალხს ტყვილა ნუ აწუხებ...

— ძია ნიკო, „ბათუმი იღუპება... ადექი... მალე...

ძილისაგან გამოურკვეველი ნიკო რაღაცას ბურტყუნებდა. ვასომ მას ყურზე მილი მიადვა:

— აი, მოისმინე...

მილში უკვე გარკვეულად მოისმოდა:

გემი „ბათუმი“ იძირება... ბაქანზე 100 მგზავრია და ბარგიც გვაქვს: განივი—44... სიგრძედი —36...

ნიკოს უკვე დაავიწყდა ძილი. ის გაექანა კაპიტნისაკენ.

შეწუხებულმა ვასომ კვლავ მიირბინა მამასთან:

— ნიკო კაპიტნის გასაღვიძებლად წავიდა. მე მართალს ვამბობდი.

ვასოს მამა შეწუხდა:

— ო, უკეთესი იყო, შემცდარიყავი....

ვასოს თმები შუბლზე ჰქონდა ჩამოყრილი.

— ოხ, როგორ გაოფლიანებულხარ, ჩემო შვილო,—მიმართა ვასოს მამამ.

ბაქანზე გამოჩნდა კაპიტანი. ვასოს ჩვეულებრივსამებრ უნდოდა კუთხეში დამალულიყო კაპიტნის შიშით, მაგრამ ამ უკანასკნელმა მრისხანედ შეხედა მას და თითქოს ადგილზე გაშეშა.

— ვასო ახალკაციშვილმა თავისი რადიომიმღებით გაიგონა. ეხლა თქვენ შეამოწმეთ, ამხანაგო კაპიტანო.

თითქოს მართალია: „ბათუმს“ რაღაც უჭირს.

— მომეცი შენი რადიომიმღების მილი! — უბრძანა კაპიტანმა.

კაპიტანი ისმენდა და მისი სახე თანდათან იცვლებოდა. მან შუბლი შეიჭმუხნა. ვასო მას თვალებს არ აშორებდა.

—ყოჩაღ, ბავშო,—მილის დადებისთანავე სთქვა ალერსიანად კაპიტანმა.

— მიმართულება ჩრდილოეთისაკენ. გემი "ბათუმი“ იღუპება. უნდა მივეშველოთ.

— გამოსცვალეთ ახალკაციშვილი. ის დადგეს რადიომიმღებთან. მან უნდა მომახსენოს ყოველი ნახევარი საათის შემდეგ, თუ რას გაიგონებს რადიომიმღებით.

— ეხლავე,—იყო პასუხი.

ახალკაციშვილი მიუჯდა რადიოს. მას ყურებში ჩასწიოდა აღშფოთებული მოკლე სიტყვები: „გემი იძირება... დამხმარე საშვალებები არაა საკმარისი. ნავები ცოტაა... ვიღუპებით... იჩქარეთ... იჩქარეთ... იჩქარეთ“...

ვასოს მამას რადიოს მილი უკანკალებს. ვასო ამჩნევს ამ კანკალს.

„ქორი“ სვლას უმატებს. ზღვაზე სიწყნარეა. თითქოს ის არც კი იყო აზვირთებული და გახელებული წუხელ ღამით. მეზღვაურები ნავის ბაქანზე იყვნენ გამოსულნი. მათი სახეები დაჭიმული და მოღუშულია.

„ქორი“ თანდათან უმატებს სვლას, მიეჩქარება ჩრდილოეთისაკენ, შეუბრალებლად არღვევს ცისფერ ტალღებს და ისვრის მათ გვერდებისაკენ.

მეზღვაური ახ[illegible]ციშვილი მოახსენებს კაპიტანს:

— „ბათუმი“ სწრაფად მიექანება ძირისაკენ... მივასწრებთ თუ არა ჩვენ დახმარებას?..

— უნდა მივუსწროთ, — ამბობს კაპიტანი და დურბინდს მიაპყრობს ჩრდილოეთისაკენ.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე შეღიარაღებული თვალითაც შეიძლებოდა დასაღუპავად გამზადებული გემის დანახვა...

მეზღვაურების დაჭიმული ნერვიულობა ძლიერდებოდა...

ვასო მეზღვაურთა შორის სდგას, ეხლა ის უკვე არავის ხელს არ უშლის.

: აი, „ქორი“ უკვე კატასტროფის ადგილასაა. მის შესახვედრად მოემართება ადამიანებით დატვირთული რამდენიმე ნავი. ადამიანები ზღვაშიაც ცურავენ დამხმარე სარტყლებით.

„ქორმა“ სასწრაფოდ ჩამოუშვა თავისი ერთადერთი ნავი. მეზღვაურები სწრაფი, უხმო მოძრაობით ემზადებიან ძნელი სამუშაოსათვის. აი, ნავები კიდეც მოადგა „ქორს“. მათგან „ქორზე“ ადიან გადარჩენილები.

ზოგიერთი მეზღვაური პირდაპირ ზღვაში ხტება, იქიდან ამოჰყავთ ადამიანები...

რამდენიმე ხნის შემდეგ „ბათუმის“ მგზავრები უკვე „ქორზე“ იყვნენ.

„ქორი“ ნელ-ნელა, გამარჯვებული შორდება „ბათუმს“. ვასოც სდგას გადარჩენილი ადამიანებთ

პიონერები სასოფლო სამუშაოზე

სავსე ბაქანზე და თვალყურს ადევნებს „ბათუმის“ უკანასკნელ წუთებს. აი, წყლიდან თავი ამოუყვია გემის წვეტიან ცხვირს, ... ქოს დიდი შავი ქვაა. ეს ქვა თვალწინ ჰქრება, ზღვის სიღრმეში ინთქმება... აი, უკვე „ბათუმისაგან“ აღარაფერი არ მოჩანს...

როდესაც გადარჩენილები გამოერკვენ, მათ მიმართეს კაპიტანს სმურგს მადლობით. „ბათუმის“ კაპიტანი, რომელიც სულ უკანასკნელი გადმოვიდა „ქორზე“ და აღელვებული და ტანჯული სახით ადევნებდა თვალყურს „ბათუმის“ ზღვის ტალღებში დამალვას, დაღვრემილი მიუახლოვდა სმურგს—მას აინტერესებდა, თუ როგორ გაიგო „ქორმა“ „ბათუმის“ უბედურების შესახებ, როდესაც მასზე არ იყო რადიომიმღები?

— საქმეც ისაა, რომ რადიომიმღები ჩვენ გვაქვს, მხოლოდ აქამდე ის იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, არალეგალური,—კაპიტანი იღიმებოდა და ისე უყურებდა ვასოს ამ სიტყვების დროს,—უკანასკნელი, სიმართლე უნდა აღვიარო, ჩემი ბრალია.

„ბათუმის“ კაპიტანს არაფერი ესმოდა.

მაშინ სმურგსმა განუმარტა:

— თქვენს გადარჩენაში დიდი ამაგი მიუძღვის ერთ ბავშს. მას აქვს რადიომიმღები, რომელიც მან თვითონ გააკეთა. ეს ბავში არის პიონერი ვასო ახალკაციშვილი. აი ეს ბავშიც...

ვასო იდგა სმურგსის წინაშე და იღიმებოდა. ზოგიერთი გადარჩენილთაგანი ჩაეხვია მას კიდეც, მაგრამ ვასომ გვერდი აუხვია მათ. მას არ უყვარდა მეტისმეტი სინაზე, მიუხედავად იმისა, რომ სასიამოვნო იყო თავის გმირად გრძნობა. რაც მთავარია—აწი მაინც მას აღარ შეეშინებოდა სმურგსის.

სმურგსმა არა თუ გადაყარა ზღვაში ვასოს მიერ დაწყებული საქმე, არამედ იმით საფუძველი ჩაეყარა ახალ რადიოგადმომცემს. ვასოს ცალკე ოთახი დაუთმეს, სადაც ის სრული ბატონ-პატრონი იყო და სადაც განზრახული იყო რადიოსადგურის დადგმა.

როდესაც „ქორი“ ნოვოროსიისკში მივიდა, იქ შეიძინეს საჭირო მოწყობილობანი რადიოსადგურისათვის.

ერთი დღის შემდეგ რადიოსადგური უკვე მზად იყო. ეს დღე ზეიმით აღნიშნეს. მოვიდა ნავსადგურის უფროსი, ადვილობრივი ორგანიზაციიდან გამოიძახეს პიონერებები, გამოცხადდა გაზეთის რედაქტორიც.

რედაქტორი ვასოს ისე ელაპარაკებოდა, როგორც დიდს, წასვლისას ხელიც კი ჩამოართვა მას. ვიღაც მოხუცმა ვასოს სურათი გადაიღო.

მეორე დღეს გაზეთში მოთავსებული იყო წერილი ვასოს შესახებ. გაზეთში იყო მოთავსებული აგრეთვე მისი სურათი.

ამ დღეს ვასომ მიიღო რადიოთი გადასაცემად შემდეგი:

„მოსკოვი. კომინტერნის სახელობის სადგური. მოისმინეთ და ჩაწერეთ. ... მაისს გემი „ბათუმი“ შავ ზღვაში რაღაც გამოურკვეველი მიზეზებით დაიღუპა. მგზავრები და მეზღვაურები „ქორმა“ გადაარჩინა. გემის დაღუპვის შესახებ „ქორის“ რაზმს შეატყობინა პიონერმა ვასო ახალკაციშვილმა. მან გემზე მოაწყო რადიომიმღები, რის მეოხებითაც გაიგეს „ბათუმის“ უბედურება...

ალლო!.. ალლო!.. რადიო-პიონერი ვასო ახალკაციშვილი“.

ვასოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

შ. შანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერიზმის მარში.

რიგში დარაზმული მივდივართ ერთად,
გუგუნებს მედგარი ხმა,
დაჰკარით ბარაბანს, დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს: ბრახ!

ჩვენ ლენინელების უმცროსი ძმები ვართ,
ერთია მიზანი, გზა,
თუ მტრების ლაშქარნი კვლავ დაიძვრებიან,—
ბრძოლისთვის ვიქნებით მზად!

მოვდივართ ქუჩებით, მოვდივართ ბარდაბარ,
ყოველგან ჩვენია ხმა,
დაჰკარით ბარაბანს, დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს: ბრახ!

ვინ იცის, რამდენი გრიგალი გადიარს
ერთბაშად მოვარდნილ ზღვად!
ჩვენ, ლენინელების შემცვლელი გვარდია,
ყოველთვის ვიქნებით მზად!

შეხედეთ, შეხედეთ, რამდენი ვიზარდეთ,
რამდენიც გაჩნდება ხვალ!
გვამხნევებს საერთო საქმე და მიზანი
მრავალმილიონიან ხალხს!

თუ ძველმა ქვეყანამ კვლავ დაიღრიალა
მშრომელთა სამშობლოს მტრად,
ჩვენც მაშინ ავისხამთ ვაზნებს და იარაღს
და ბარიკადებზე: ტრახ!

ვართ დაუთვალავი ზღვა ვარსკვლავებივით
ერთია მიზანი, გზა,
თან მოგვაქვს დროშებად ანდერძი ლენინ
მომავალ ბრძოლების რაზმს!

მოვდივართ სიმღერით, მოვდივართ თანაბრ
გუგუნებს მედგარი ხმა,
დაჰკარით ბარაბანს, დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს: ბრახ!

ალიო მაშაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ბანაკში

6. ექსკურსია.

გრილი ნიავი სოფელს აღვიძებს. ბორჯომის ხეობიდან ზანტად გამომდინარე მტკვარი წყნარად მიიკლაკნება უკვე გაშლილ ველზე. სწორედ იმ ადგილას, სადაც ხეობა თავდება, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია სოფ. ქვიშხეთი თავისი ნაძვნარით. მისი მდებარეობა ნახევრად მთაგორიანია. იგი უახლოვდება წიფის გვირაბს და, შეიძლება ითქვას, რომ ქვიშხეთი ქართლის და ზემო იმერეთის მიჯნაა.

დილის 6 საათია. მზემ მხოლოდ ახლა ესროლა თავისი სხივები ნაძვნარს და ააფერადა. ქ. ხაშურიდან საყუდის საყვირის ხმა გარკვევით მოვარდა. მერიმ თვალები გამოაჭყიტა და ზანტად წამოდგა, გადახედა თავის ამხანაგებს. ზოკიერთნი უკვე ამდგარიყვენ და კიდეც ტანს იცვამდენ.

— ჯერ ადრეა, ჩვენ 7 საათზე უნდა ავდგეთ, ახლა კი მხოლოდ ექვსია.

— არა, დღეს აღარ იქნება დაცული ჩვენი საბანაკო დღის რეჟიმი. ეხლავე უნდა ავდგეთ და წავიდეთ ექსკურსიაზე წიფის გვირაბისაკენ და შემდეგ სურამში, იქ წითელარმიელები არიან დაბანაკებულნი და მათ ცხოვრებასაც გავეცნოთ.

პიონერები, რომელნიც დილით ყოველთვის 7 საათზე იცვამდენ ტანს, 8 საათზე პირს იბანდენ, შემდეგ ყოველი განსაკუთრებული საათი თავის დანიშნულებას ხმარდებოდა, ახლა 6 საათზე წამოიშალენ და გაჩქარებული მზადება დაიწყეს საექსკურსიოდ.

— არ დაგავიწყდესთ, ყველამ თავისი საჭმელი უნდა წამოიღოს, ჩვენ მთელი დღე ამ სოფელ გარეთ დავრჩებით, ვინახულებთ წიფის გვირაბს და სურამს, საღამოს კი უკან დავბრუნდებით.

მოიმზადეს ყველაფერი, განსაკუთრებულ საბანაკო ჩანთებში ჩააწყვეს თავისი საგზალი და გაუდგენ გზას.

— ოო! გიგას გაუმარჯოს! სად მიდიხარ, გიგა! შესძახა ერთმა პიონერმა გიგას, რომელსაც მხარზე თოხი გაედო.

— ყანაში! მამა იქ არის და სიმინდის გამარგვლაში უნდა მივეხმარო.

— წამოდი ჩვენთან, გიგა, საექსკურსიოდ მივდივართ. ხვალ 9 საათზე შენთან წამოვალთ და ერთ საათში შენ ყანას სრულიად გავმარგლავთ.

— მერე ამდენი თოხი სად უნდა იშოვოს კაცმა?

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს! როდესაც ჩვენ ასეთნაირ სამუშაოზე მივდივართ აღმასკომის თავმჯდომარე გვიშოვნის ხოლმე თოხებს, ასე რომ თოხებისათვის ნუ შესწუხდები, ჩემო კარგო.

— მაშ კარგი, წამოვალ, მაგრამ მამას რა ვუთხრა?

— ნუ გეშინია, ხვალ, სამაგიეროდ, კმაყოფილი დარჩება.

გიგამ თოხი მხარიდან ძირს ჩამოიღო.

— მაშ კარგი, ამ თოხს, ეგერ რომ ჩემი გარემოა, იმის ღობეში დავმალავ, მე კი თქვენთან წამოვალ.

— აბა, ჩქარა, გიგა, შენ კარგად გეცოდინება აქაური მიდამოები და წინ გაგვიძღვები!

გიგა გაიქცა. თავის სახლის გარემოს მიუახლოვდა, თოხი ღობის იქით გადასდო და უკან გამობრუნდა. მალე პიონერთა რაზმს შეუერთდა.

— ამხანაგო! შენ რა გქვიან? — შეეკითხა გიგა იმ პიონერს, რომელმაც პირველად სთხოვა მათ გაჰყოლოდა.

— ლადო. რათ მკითხავ?

— შენ არ ჩამწერე კვირას პიონერებში?

— ჰო!

— მერე ასეთი ტანისამოსი რატომ არ მომეცით? და გიგამ მის ბლუზა-შარვალზე მიუთითა.

— ჯერ ადრეა, მოიცადე და შენც მოგცემენ!

— მერე, მე რომ ამდენ პიონერებში გარეგნულად პიონერი არა ვარ, ხომ ყველა შემატყობს?

— არაფერია, ეგ ახლა იქნება, შემდეგ აღარ!

— ლადო! მე მაქვს ორი ხელი პიონერის ტანისამოსი წამოღებული თან. ერთი რომ დამსვროდა, მეორე უნდა ჩამეცვა. მე მივცემ მაგას.

გიგამ ტანისამოსი გამოიცვალა და ნამდვილ პიონერს დაემსგავსა.

— ამხ. ხელმძღვანელო! აი, ესეც პიონერია, ჩვენი რაზმის წევრი. ჩვენთან ერთად მოდის ექსკურსიაზე, სამაგიეროდ მას ჩვენ ხვალ 9 საათზე უნდა

[1]) განგრძობა, იხ. № 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივეხმაროთ და ყანა გავუმარგლოთ, თორემ მამა გაუწყრება, დღევანდელი დღე ამ გააცდინა, — უთხრა ლადომ ხელმძღვანელს, — დესაც მას მიუახლოვდა.

— ძალიან კარგი! ეს ტანისამოსი სადღა იშოვეთ?

— აი, სოსოს ჰქონდა ორი ხელი წამოღებული და ერთი მაგას დაუთმო.

ექსკურსანტები მიუახლოვდენ ს. ლიხს. ამინდი წყნარია. არსად ნელი სიოც არ იძვრის.

— აქეთ გავუხაროთ! — სთქვა ხელმძღვანელმა და რკინის გზის ხაზს გაჰყვა.

— მოითმინეთ, მატარებელი გამოსულია, გვირაბში მაინც ვერ შეხვალთ! საშიში იქნება. როდესაც მოვა, მაშინ წადით, საღამომდე აღარაფერი ამოივლის და შეგიძლიათ თავისუფლად დაიაროთ მთელი გვირაბი.

მაქსიმ გორკი ტფილისში ყოფნის დროს

მატარებელმა მალე ჩაიარა.

— აი, აქ არის უდიდესი გვირაბი. მისი სიგრძე 4 ვერსს უდრის. ეს ადგილი ამავე დროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარია. უწინ, სანამ აქ გვირაბი გაკეთდებოდა, მატარებელი ს. ფონაზე გადადიოდა სურამისაკენ. მის ასატანად ასეთ აღმართზე საჭირო იყო რამდენიმე ორთქლმავალი. ამავე დროს ძალზე დაქანებულ რკინის გზას მოსდევდა ხშირი კატასტროფები (მარცხი). აი, ამიტომ გადაწყვიტეს აქ გაეჭრათ გვირაბი და გასჭრეს კიდეც.

— ამხ. ხელმძღვანელო! თუ შეიძლება შესვლა გვირაბში, გავყვეთ ამ რკინის გზას, გავიდეთ წიფაში, ვნახოთ, წიფა როგორი სოფელია.

— დედა, როგორი მთებია! რამხელა გორებია! — წამოიძახა მერიმ, როდესაც გვირაბის მეორე მხარეზე გავიდენ.

— შეხედე, აქ მგონი სოფელია! — სთქვა ერთმა პიონერმა.

— დედა, დედა, როგორაა იმ კლდეში — სანდა მიტყეპებული?

— რანაირი სოფელია ეს?

— რა უნდა მოვიდეს აქ? რითი ცხოვრობენ ამ სოფლის გლეხები?

— დედა, როგორი ქვიშიანი ლიანდაგია!

— ეს ძეგლი ვისია, ვინ მარხია? — იკითხა ელენემ.

— ეს ამ გვირაბის გამკეთებლის ძეგლია, „იგი შესანიშნავი ინჟინერი იყო. როცა ეს გვირაბი დაამთავრა, გარდაიცვალა და აქვე დაასაფლავეს — დაიწყო ხელმძღვანელმა. — ბავშებო! თქვენ ძალიან გაგაოცათ ამ სოფლის ადგილმდებარეობამ. აქ არაფერი არაა გასაკვირვალი, ეს ზემო იმერეთის ერთ-ერთი მთაგორიანი მხარეა. გლეხები აქ უმთავრესად მისდევენ მეტყეობას და ხვნა-თესვას. ზოგიერთი მათგანი რკინის გზაშიც მუშაობს.

— მართალია, ხელმძღვანელო! მამაჩემი ამ სოფლიდან არის წამოსული, მეც ვყოფილვარ ხოლმე აქ! ჩვენ აქ სახლიც გვაქვს. ჩემი ბაბუა და ბებია აქ ცხოვრობენ.

— მოდი ვეწვიოთ თედოს, აქაური ყოფილა! — წამოიძახა ერთმა პიონერმა.

— წავიდეთ სადგურზე! იქ ამოივლის რამე საბარგო მატარებელი. უკვე შუადღეა, ჩავსხდეთ და წავიდეთ ლიხში. სურამში ხვალ წავიდეთ, დღეს ველარ მოვასწრებთ.

— ხელმძღვანელო! ხვალ ხომ გიგას უნდა მივეხმაროთ სიმინდის გამარგვლაში? რით წავალთ სურამში?

— ჰო! გიგასთან 8 საათზე მივიდეთ, 10 საათამდე ვიმუშაოთ და შემდეგ წავიდეთ სურამში.

ერთი საათის შემდეგ საბარგო მატარებელმა ჩამოიარა.

— ბიჭოს, მამა! — წამოიძახა ერთი პიონერმა და ღია რონდისაკენ გაქანდა.

— მამა, მამილო!

ღამის თევისაგან თვალებდაწითლებულმა მემუხრუჭემ უკანმოიხედა და გახარებული ზეზე წამოვარდა.

— ო, სიმონიკა! სიმონ! ბიჭო, სად იყავი, აქ რა გინდათ, თქვენ ხომ ქვიშხეთში ხართ?

— მამილო! აქ წამოვედით საექსკურსიოდ. ახლა უკანვე მივდივართ, ამ მატარებელს უნდა დავუჯდეთ.

7. ნადი.

ეს ქალაქელი ბავშები მართლა რა ყოჩაღები ყოფილან, ქალო, ერთ საათში გამიმარგლეს ყანა. ყველას ვეხვეწე, მათ უფროსსაც ვუთხარი, წამოდით ჩვენთან სადილათ-თქო, მაგრამ არ ქნეს: ჩვენი სადილი ბანაკში გვაქვსო. თითქმის ას ორმოცდაათი ბავში იყო. რომ წამოსულიყვენ, რა უნდა გვექმია? ძროხას თუ დავკლავდით, თორემ სხვას რას მივუტანდით! ი ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ბიჭი თან წაიყვანეს, აღარ იშორებენ. ისწავლის რამეს მათგან, კარგი ბავშვები არიან ძალიან!—ასე ამბობდა ყანიდან ახლადდაბრუნებული გიგას მამა.

— მერე სად წავიდენ ჩვენი ყანიდან?—იკითხა გიგას დედამ?

— არა, არა, მე ეხლა გავიგე, თუ რა კარგი ყოფილა სწავლა. ბავშს სახლში საშუშაოდ აღარ გავაცდენ, სკოლაში გავგზავნი, რომ გაიზრდება, სწავლაც ექნება და მუშაობაც ეცოდინება.



საღამოზე გიგა მხიარული სახით დაბრუნდა შინ თავისი პიონერ-ტანისამოსით.

— მამი! დღეს ბევრი რამ ახალი გავიგე! ვინახულეთ სურამის ციხე, რომელშიც ვითომდა დედისერთა შვილი, ზურაბი, დაუტანებიათ. ჩვენი წითელი არმიის მეთაურს ველაპარაკეთ. ჩვენი ვასიაანთ დათუაც იქ არის. რომ შემხედა, ძალიან გაეხარდა, მით უმეტეს, პიონერის ტანისამოსში რომ დამინახა. მამილო, მეც ქალაქში უნდა წავყვე ჩვენ ხელმძღვანელს. იქ მე უფასო ბინას, სასმელ-საჭმელს და სწავლის გაგრძელებას მპირდებიან. ხომ გამიშვებ, მამა? და იჭვნეულად შეაცქერდა გიგა მამას.

— წადი, შვილო, წადი! მე მოხარულიც ვიქნები. გიგამ სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა.

8. ბანაკობის დასასრულს.

ერთი თვის შემდეგ ტფილისის სადგურში ბათომიდან ჩამოსულ მატარებელს პიონერთა ორი ვაგონი მოჰყვა. ისევ ისეთი ჟრიამული, მხიარულება ჩამოიტანეს ახალგაზრდებმა ტფილისში, რაც 2 თვის წინათ ჰქონდათ, აქედან წასვლის დროს.

— რა ვიცი! სურამში მივდივართო, იქ ჯარის ნაწილები დგასო! მათ ცხოვრებას უნდა გავეცნოთო. ჩვენი ბიჭიც იმათ გაჰყვა.

— შენ არ ასწავლე და თვითონ იქნებ მაინც რამე შეისწავლოს იმ ქალაქელი ბავშვებისაგან.

ბანაკობის დროს საშუალოდ თითოეულმა 16 კილო მოიმატა.

გიგა ლადოს გადმოჰყვა სადგურზე და განცვიფრებული შეჰყურებდა ბაქანზე ხალხის მოძრაობას.

უფრო განცვიფრდა გიგა, როდესაც სადგურიდან გამოვიდა და ქალაქში უცნაურად მოწკრიალე ტრამვაი დაინახა.

დავით ციცქიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანძარი ზღვაზე

მოთხრობა

გემი „ოქტომბერი“ თავის სამშობლოში ბრუნდებოდა. დღისით იგი ჰკვეთდა გააფთრებულ შავ ნისლებს, აპობდა აზავთებულ ზღვას. ერდოზე შემოვარდნილი, მთის ჩანჩქერივით თეთრად დაფშვნილი ტალღები უკანვე გადარბოდა გრიალით, და გემის ფოლადის სხეული ზანტად ირხეოდა.

დაღამებისას ქარი მიწყნარდა და ზღვაზე სიჩუმე ჩამოვარდა, სივრცეში შავი ღრუბლები გაჩნდენ; ზღვას თვალგადაუვალი სიბნელე ნაბადივით შავად გადაეკრა.

ირგვლივ მყუდროება იყო და მხოლოდ ანძებს იქით, დაბლა, თითქო მძიმედ სუნთქავდა ზღვის უფსკრული, საიდანაც ხანგამოშვებით მოისმოდა ტალღების ყრუ ხმაური.

ბოგირზე იდგა მორიგე და შორს მჭვრეტი თვალებით დაუსრულებელ სივრცეში იყურებოდა.

სიბნელე მუდამ იტევს მოულოდნელ საფრთხეს და საშიშროებას, რისთვისაც მეზღვაურებს ამ დროს მართებსთ მეტი სიფრთხილე და დაკვირვება. შორს, ზღვის ზედაპირზე გამოჩნდა რაღაც მკრთალად მბჟუტავი ნათუთა, შემდეგ სინათლე თანდათან გაიზარდა, ელვარე ცეცხლად გადაიქცა, მაგრამ ისევ ჩქარა ჩაქრა.

გემებმა სიბნელით მოცულ ზღვაში ერთმანეთს გვერდი შეუარეს.

მესაჭის სადგომში საჭესთან იდგა მეზღვაური ბოროდკინი. სადგომში ბნელოდა, მხოლოდ ყიბლანთან ენთო ელნათური, და ბოროდკინი დაკვირვებით ჩასცქეროდა პატარა ხელსაწყოს და მასში ჩახაზულ გრადუსებს. ის ცდილობდა პირნათლად შეესრულებია დავალებული საქმე, მაგრამ ათასი ბნელი სასოწარმკვეთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ბოროდკინი ბრაზობდა, სურდა თავიდან მოეშორებია ეს ბნელი ფიქრები, მაგრამ გული მაინც ტკივილით ეკუმშებოდა. დღეს დილით, როცა „ოქტომბერი“ ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში იდგა, მან შინიდან მეტად არასასიამოვნო შინაარსის ბარათი მიიღო.

მისი ხუთი წლის ვაჟი ავად გამხდარიყო და უთვლიდენ, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო, რომ ასეთი გასაჭირის დროს ოჯახს მიშველებოდა.

— ეხ, ვინ იცის, ახლა როგორ არის ჩემი პატარა მიხო! რომ დამაგვიანდეს, რომ ველარ ვუშველო? — ასეთ ფიქრებს მისცემოდა დაღონებული ბოროდკინი, თავი დაბრუებოდა, საფეთქლებზე დაჭიმული ძარღვები გამალებით უცემდა, ჩაღამებული თვალებით ჩასცქეროდა ყიბლანს და ყიბლანში მოთავსებული ციფრები შავი ბუზებივით ერთმანეთში ირეოდა. ის მძლავრად ამოძრავებდა საჭის სახელურს, თითქოს ლამობდა სახელურის ტრიალში დარდი მოექარვებია.

— ეს რა ამბავია? საითკენ მიმართე გემი? — უცებ ჩამოესმა ბოროდკინს.

ბოროდკინი შეიშმუშნა, თითქოს ძილისაგან გამოერკვა. გვერდზე გახედა. აქვე იდგა ფართობეჭებიანი მაღალი ტანის შტურმანი, რომელიც ბოროდკინს თვალებს უბრიალებდა და გაჯავრებული განაგრძობდა ყვირილს:

— ამხანაგო ბოროდკინო, თქვენ ნაბრძანები გქონდათ აგელოთ კურსი ზიუდ-ოსტი ორმოცდაჩვიდმეტი, თქვენ-კი გემი მოპირდაპირე მიმართულებით წაიყვანეთ. ეს რას ჰგავს? გესმისთ თუ არა, საფრთხეშია გემი და მთელი მისი ეკიპაჟი! ეს დანაშაულია, მე ამის შესახებ დავწერ პატაკს, თქვენ გაგასამართლებენ.

გემის აუზის თავზე ზარმა რამდენჯერმე დაიზრიალა. ბოროდკინს აღარ ესმოდა შტურმანის სიტყვები, ის ზანტად წამოდგა და ნელი ნაბიჯებით კარებისაკენ გაეშურა.

საჭესთან ახლა იდგენ მეზღვაურები — გინსი და ბოცმანი. შტურმანი არ ცხრებოდა.

— ვთქვათ, გემი დატაკებოდა წყალქვეშა მთას, ან რომელიმე კლდეს. მაშინ რა უნდა გვექნა?

— რა მიზანი გქონდათ, რომ დაუკითხავად შესცვალეთ გემის მიმართულება? — ცივად მიმართა ბოროდკინს ბოცმანმაც.

დამნაშავემ ოფლიან შუბლზე ზარმაცად ხელი გადაისვა, უნდოდა ეთქვა მიზეზი, მაგრამ შერცხვა. ისევ თავდაჭერა ამჯობინა და წყნარი აცახცახებული ხმით ამოილაპარაკა:

— არ ვიცი, მე მიმართულება არ შემიცვლია, ასე კი მოხდა რატომღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კიბეზე ფრთხილი, წყნარი ნაბიჯებით ჩამოვიდა. ერდოზე სიბნელე და მყუდროება იყო. ამბარდანებს იქით კი ისევ გაისმოდა ატორტმანებული ტალღების ყრუ ხროტინი.

— ბოროდკინი დღეს რატომღაც ძლიერ აღელვებულია. ალბათ, შინიდან რამე ცუდი ამბავი მოუვიდა, — სთქვა მეზღვაურმა გინსმა.

პიონერებიც ემზადებიან საბჭოთა კავშირის დასაცავად

რადიოს ბინა განათებული იყო, მაგიდასთან, ზეთით შეღებილი ხელსაწყოების წინ, იჯდა რადიომოხელე, რომელიც სულგანაბული უსმენდა ას და ათას ეჯიან მანძილიდან ნატყორცნ ელექტრომაგნიტურ ტალღებს, ოკეანის თვალგადაუწვდომ სივრცეს ზუხუნით რომ სჭრიან ათასი სხვადასხვა ცნობით. იგი იჭერდა საჭირო ცნობებს და სამორიგეო ჟურნალში სწერდა ნიკაპქვეშ ამოდებულ ღვედზე დამაგრებული რადიომილები ყურებზე მიებჯინა და თითოეული ახალი ცნობის მიღებაზე წინ გაშლილ ჟურნალში მათ აღსანიშნავად იხრებოდა.

უცებ რადიომოხელე დაიყურსა, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა, თითქო გამოშტერდა. თითქო ცხვირის წინ საშინელი მოჩვენება აეტუზა. მან მარჯვენა ხელის ნერვიული თრთოლვით საჩქაროდ გადასწია მომწესრიგებელი და მყის სამი გარკვეული ასო ს. ო. ს. ლითონის ბგერით ყურში ბასრად ჩაესმა მათი აზრი იმდენად საშინელი იყო, რომ რადიომოხელეს ცივმა ოფლმა დაასხა. რომელიღაც გემი, ზღვის უკუნეთსა და განუსაზღვრელობაში ჩაკარგული, დაღუპვის წინ აცნობებდა განსაცდელის შესახებ, ითხოვდა შველას.

რადიომოხელე ცახცახით სწვდა ფანჯარას და ყოველივე ჟურნალში აღნიშნა. მისთვის ამ წუთში არ არსებობდენ ნათესავ-მეგობარნი, — სულ სხვა ფიქრმა შეიპრო იგი, რამაც ტვინი საშინელი წარმოდგენებით მთლად ააფორიაქა. მსოფლიოს რადიოები სდუმდენ და სიჩუმეში ესმოდათ, რას ატყობინებდა ზღვის ჯოჯოხეთურ უფსკრულში ჩასაყურავად განმზადილი გემი. ეს იყო ინგლისის საბარგო გემი „სტოლლერი“, ნახევარი მილიონი ფუთი ნავთით დატვირთული რომელიც ინგლისის სანაპიროებისაკენ, სრული სიჩქარით მიეშურებოდა. გზაში გემს მოულოდნელად გაუჩნდა ხანძარი. ყოველგვარი ზომა მიიღეს, რომ მოექროთ ხანძარი, მაგრამ მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა; „სტოლლერი“ რადიოთი აცნობებდა ყველა ქვეყანას კატასტროფის ადგილმდებარეობას, და რადიომიმღებში გაისმოდა ერთიდაიგივე:

— გემზე ხანძარშია, ვიღუპებით მოგვეშველეთ!..

რადიომოხელე უცებ ზეზე წამოდგა.

— ინგლისის გემი იღუპება! — უეცრად წამოიძახა მან, რადიობანიდან უცებ გამოვარდა და ბოგირზე ავარდა, რომ მიღებული ცნობა კაპიტნისთვის შეეტყობინებია.

ჩქარა სიბნელეში გაისმა პირველი შტურმანის ხმამაღალი დაძახილი:

— მორიგე, საჩქაროდ ამოუძახე ბოგირზე კაპიტანს, ერდოზე ამოვიდეს ყველა მეზღვაური, გარდა მანქანაზე მომუშავეებისა.

წუთის შემდეგ მთელი ეკიპაჟი ფეხზე იდგა.

„ოქტომბერმა“ გეზი შეიცვალა და სრული სვლით „სტოლლერისაკენ“ გასწია.

შტურმანი ხელში ცირკულით არკვევდა „სტოლლერის“ ადგილმდებარეობას, გამოიანგარიშა, რა მანძილზე იმყოფებოდა იგი და შემდეგ კაპიტანს მიუბრუნდა: „სტოლლერამდე“ აქედან შვიდი-რვა ეჯი იქნება. ეს უთუოდ ის გემია, ცოტა ხნის წინათ გვერდი რომ ჩაგვიარა.

— კარგია მშვიდად უპასუხა კაპიტანმა — როგორც ჩანს, ჩვენ ყველაზე ადრე მივეშველებით.

„ოქტომბერი“ ელვის სისწრაფით მიაპობდა ჯოჯოხეთურ სიბნელეს, ბასრი ცხვირით სჭრიდა ატორტმანებულ ტალღებს და ფოლადით განკვეთილი წყალი უკან რჩებოდა ხრამივით. მეზღვაურები ერდოზე და ბოგირზე გამწკრივებულნი იდგენ, სამწუხარო სანახაობის მოლოდინით შეპყრობილნი და ჩაფიქრებულნი. მათი თვალები ამაოდ ბარბაცებდენ შავად მოგარსულ სივრცეში. ღამის უკუნი ხავერდივით ყომრალი იყო და ამბარდანებს გადაღმიდან მოისმოდა უფსკრულის შემზარავი ხმაური.

— აი, ხედავთ? ეს ის გემია! — უცებ რამდენიმე კაცმა ერთხმად წამოიყვირა.

შორს რიჟრაჟივით გამოჩნდა რაღაც სინათლე. სინათლე თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ცეცხლის ენებით ჰკვეთდა ღამის უკუნს. დაგრაგნილ სვეტად ავარდნილიყო ბოლი ცამდე და ცის ტატნობზე ყავისფერ კულულებად ნელ-ნელა იშლებოდა. ჩქარა სიბნელეში გამოჩნდა გემის სილუეტიც. მის ირგვლივ ჭრიჭინას გამჭვირვალე ფრთებივით ბარბაცებდენ რაღაც ჩრდილები.

კაპიტანი ტელეფონს მივარდა და სამანქანო განყოფილებას უბრძანა:

— რაც შეიძლება მეტის სისწრაფით წაიყვანეთ გემი.

„ოქტომბერი“ იჩქაროდა ინგლისელების მისაშველებლად. ყველანი წინ წაწვდილნი იდგენ ბაქანზე და გაჰყურებდენ ყვითელ კვამლად დახვეულ ხანძარს. მათ წარმოდგენაში იზრდებოდა მოსალოდნელი საშინელი სანახაობანი! ღამის ჰაერი თითქო თანდათან გაცივდა და მეზღვაურები ცივმა ჟრუანტელმა აიტანა.

კაპიტანი ისევ უბრძანებდა:

— მოამზადეთ ტუმბოები!

რამდენიმე კაცი ბოგირიდან ფაცაფუცით ძირს ჩამოეშვა.

შემდეგ კაპიტანი მიუბრუნდა შტურმანს.

— დაათვალიერე გემი, ხომ ყველაფერი რიგზეა? აგრეთვე თქვენ გევალებათ თვალყური ადევნოთ მეხანძრე მეზღვაურთა მოქმედებას.

რადიომოხელე ისევ რადიოაპარატთან იჯდა და „სტოლერზე“ აწიოკებული ხალხის ხვეწნა-მუდარას ისმენდა; ისინი მოითხოვდენ შველას. კაპიტანი ყოველ წუთში რადიობინიდან ღებულობდა ცნობებს „სტოლერის“ მდგომარეობის შესახებ.

უკანასკნელი ცნობა შემდეგს ატყობინებდა:

— გემზე ხანძრის ჩაქრობა ვერ შევძელით, ჩქარა ცეცხლი გაუჩნდება ნავთის საწყობებს, ზღვაში ვუშვებთ ბაიდებს. ნახვამდე... და შეიძლება სამუდამოდ მშვიდობითაც... რადიომოხელე შარკერი“.

ამ ცნობის შემდეგ „სტოლერი“ დადუმდა.

ჩქარა „სტოლერზე“ უზარმაზარი ცეცხლის ენები შეამჩნიეს. ისინი აეშვენ შუა ერდოდან და კლაკვნით ნელ-ნელა გარს შემოერტყენ გემის აღნაგობას. ალი თანდათან ძლიერდებოდა და ბნელი ღამე ზღვაზე გარიჟრაჟის შეყვითლებულ ცას დაგმსგავსა. ზღვის ყომრალი სივრცე ახლა ნათლად აელვარდა და ცეცხლის გრძელი ენები გამჭვირვალე ტალღებზე დარხეულ ჩრდილებად აკეკლუცდენ.

— ეხ... მაინც დავიგვიანეთ!.. ამოიოხრა რომელიღაც მეზღვაურმა

— ველარაფერს ვუშველით! — დაუმატა მეორემ.

კაპიტანი იდგა გარინდული, მოაჯირს მკერდით მიყრდნობოდა და გრძელი ჭოგრიტიდან აკვირდებოდა ზღვაში ჩაშვებული მაშველი ბაიდების მოძრაობას.

— ჩაუშვით სახელდახელო კიბეები! — ხმამაღლა უბრძანა კაპიტანმა

— არის! — უპასუხეს ერდოზე.

მაშველი ბაიდა გემი „სტოლერის“ ამბარდანას ნელი სრბოლით მოსწყდა და წითლად აელვარებულ ტალღებში შემოცურდა. მეზღვაურები, ეტყობოდა, ძლიერ ჩქარობდენ, ნიჩბებს მძლავრად ამოძრავებდენ, მაგრამ ბაიდა თითქო ადგილიდან არც კი იძვროდა; ტალღებით დარწეული, იგი ჰგავდა ოთხფეხა ქვეწარმავალს, ზარმაცად რომ მიღოღავს ცხელ სილაზე ქვიშიან უდაბნოში. ამ დროს მეზღვაურებმა დაინახეს მეორე ბაიდაც, რომელიც ალშემორტყმული „სტოლერის“ მეორე მხარეზე მოსცურავდა. ის მისრიალებდა გამალებით და ვერ ამჩნევდა დამხმარე გემის მიახლოვებას.

„ოქტომბერი“ უცებ შებრუნდა და გზა გადაუჭრა პირველ ბაიდას; მათ შორის მანძილი ძლიერ შემცირდა.

— მოამზადეთ ბაწრები! — ისევ გაისმა კაპიტნის ხმა.

— არის! — ჩვეულებისამებრ უპასუხეს მეზღვაურებმა.

ცეცხლი „სტოლერზე“ თანდათან ძლიერდებოდა. გეგონებოდათ, რომ მას აეზარდა წითელი ჯაგარი და ახლა, როგორც ზღაპრული საკვირველი ნადირი, ოქროსფერ სხივთა ფრქვევით ზღვის დაუსრულებულ სივრცეში მიეშურებაო.

მაღლა ბარბაცით დაეკიდა უზარმაზარი, ახრჩოლილი შავი ღრუბელი. ანთებული გემი ირხეოდა და მისი ორი ანძა, როგორც გოლიათის ორი საჩვენებელი თითი, თითქოს ცას ემუქრებოდა.

კაპიტნის ხელში ფოლადის ხმით აბგერდა სამანქანო ტელეგრაფი. როცა მან ისარი გადასწია ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილზე, სადაც ეწერა „გააჩერეთ“, მაშველი ბაიდა უკვე ახლო იყო. „ოქტომბერმა“ ბაიდისაკენ სწრაფად შეაბრუნა ამბარდანი და ერდოდან ერთხმად ჩასძახეს ინგლისელებს:

— ბაწარი დაიჭირეთ.!

და როცა ბაიდა მიუახლოვდა სახელდახელო კიბეს, ინგლისელები რიგ-რიგობით ამოვიდენ გემის ერდოზე. „ოქტომბერზე“ გაჩნდა უცხოელების მთელი ჯგუფი—ადმინისტრატორები და მეზღვაურნი. ზოგი მათგანი ცეცხლს პირდაპირ საწოლებიდან აევდო და ამიტომ ისინი იყვნენ საცვლების ამარა, ფეხშიშველნი და უქუდონი, მღელვარებისაგან ალეწილ სახეებზე ხვითქი ასკდებოდათ, გაკვირვებულნი თვალებს აცეცებდენ და თითქოს არც სჯეროდათ, რომ რუსების გემზე მოვიდენ.

კაპიტანმა უბრძანა გემი ნელი სვლით წაეყვანათ, ოადგან იმედოვნებდა ეს ხელს არ შეუშლიდა გადასარჩენ ხალხს გემის ერდოზე ამოსულიყვნენ. „ოქტომბერს“ აზრად ჰქონდა გადაერჩინა მეორე ბაიდაც.

სწორედ ამ დროს საოცარი ამბავი მოხდა. მათ დროზე ვერც გაიგეს, რათ შემოიგარსა „ოქტომბერი“ გახურებული ჰაერით, ან მასზე მყოფი ხალხი რად აფუსფუსდა და აფორიაქდა. ზოგნი მათგანნი აბარბაცებულნი ძლივს იგდენ ფეხზე, ზოგნი კი სულშეხუთულნი ერდოზე ჩაიკეცენ. საშინელებამ უეცრად მოიცვა იქაურობა და გაისმა სასოწარკვეთილების მომგვრელი შემზარავი ხმა. თითოეულს მოეჩვენა, რომ ზღვამ უფსკრულიდან ამოისროტინა, ამოისუნთქა სასწაულებრივად, შეტორტმანდა ზღვა და ეს სუნთქვა-ხროტინი კიდით-კიდემდე გაისმა ზღვის დაუსრულებელ სივრცეში... თვალის მომჭრელმა სინათლემ შთანთქა უკუნი სიბნელე. გაიხედეს და იქ, სადაც „სტოლერი“ იდგა, გემის მაგივრად მოჩანდა შავ ღრუბლებამდე აწვდილი ცეცხლის ასისინებული ენები. ნავთით მოფარულ წყლის ზედაპირს გასჩენოდა ცეცხლი და მღელვარე ზღვა, ხანძრად დანთებული, შემზარავად გუგუნებდა.

„ოქტომბერი“ გარემოცული იყო ცეცხლით. ისევ აბგერდა სამანქანო ტელეგრაფი, რომელიც გემის ქვედა ნაწილებს უბრძანებდა გემი სრული სვლით წაეყვანათ და ისევ გაისმოდა კაპიტნის მტკიცე ხმა:

— მარჯვნივ, ამბარდანისაკენ.

— არის!—მარჯვნივ, ამბარდანისაკენ.

„ოქტომბერი“ საჩქაროდ შებრუნდა მარჯვნივ, მაგრამ მყის გაისმა კიდევ ბრძანება:

— გააჩერეთ!

— არის! გავაჩერეთ!

„ოქტომბერთან“ მოცურებულიყო მაშველი ბაიდა, საიდანაც მოისმოდა მასზე მყოფი ხალხის ველური ღრიალი. ის, რაც მოხდა, ძნელი ასაწერია. ხალხი აღწევდა სიგიჟემდე, თვალები შიშით და განცვიფრებით გაფართოებოდათ და ეს თვალები გადაბრუნებული ჭიქის ფსკერებივით გამოიყურებოდენ.

ალმოდებული სივრცე ხანძრით გუგუნებდა, პაპანაქება სიცხით სუნთქავდა, ხუთავდა სულს და სწვავდა სხეულებს.

გერმანელი პიონერები ცნობილ გერმანელ რევოლუციონერ მაქს ჰელცთან, რომელიც 7 წლის განმავლობაში ციხეში იჯდა და განთავისუფლებულ იქნა ამ ახლო ხანში.

— ეგრე რამ გამოგაშტერათ? ადგილებზე ყველა! მიუშვით ტუმბოები!

ასე გაჰყვიროდა აღელვებული კაპიტანი. ეხლა მისი ხმა უფრო მკაფიოდ, თითქო რუპორიდან, მძლავრად გაისმოდა და მიხვრა-მოხვრაც ბრძანებითი ჰქონდა. კაპიტანი იდგა ბოგირზე მცხუნვარებისაგან სახეზე წითლად ალეწილი და ეხლა ის უფრო ჰგავდა მრისხანე და ზვიად ზღვის ავაზაკს, რომელიც მზად არის თავი შუაზე გაუხეთქოს, ვინც მის ბრძანებას არ დაექვემდებარება. მისი მკვეთრი სიტყვები მოსამსახურეებს აფხიზლებდა, თითოეული მათგანი უსიტყვოდ თვალის დახამხამებაში ასრულებდა დავალებას, რადგანაც გრძნობდა, რომ საჭირო იყო გადამწყვეტი ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ინგლისელები ბოგირის ქვეშ შეჯგუფულიყვნენ. რადიომოხელე ისევ თავის აპარატთან იდგა და მთელ

მსოფლიოს გადასცემდა „ოქტომბრის“ კივილს, რომელიც ხანძრად ავარდნილი ზღვის ზედაპირზე აჩქარებით მისრიალებდა.

— გემის ყველა ნაწილს წყალი შეასხით!

— არის!—მოისმოდა გემის ერდოდან პასუხი.

— ერთიმეორეს წყალი შეასხით, დასველდით!

— არის!

ამუშავდა ტუმბოები. მეზღვაურები წყლის მილებს აქით-იქით იშვერდენ, ასხამდენ წყალს როსტრებს, ბაიდებს, ბრეზენტს, ერთმანეთს, გემის ბანებს. წყლის წნევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ტილოს მილებიდან ამოსხლეტილი შადრევანი წიოდა, სტვენდა და ტკაცუნობდა, მაღლა ატყორცნილი წყალი იშხეფებოდა განათებულ ჰაერში და ბრწყინავდა ფერად წინწკლებად და ჩანჩქერებად. ის მეზღვაურნი, რომელთაც წყალს ასხამდენ, იჭუჭკებოდენ, ტრიალებდენ, ფრუტუნებდენ და ყველაფერი ეს გარეგნულად თამაშობას უფრო ჰგავდა, ვიდრე საქმეს.

ბოცმანი მაღლობზე იდგა, ფეხები საოცრად გაეჩაჩხა და ცხენისებური სახე დაღმეჭოდა. ის იმეორებდა კაპიტნის ყოველ ბრძანებას და მეზღვაურთა წასახალისებლად უფროსის ბრძანებას ცოტა თავის სიტყვებსაც წაუმატებდა:

— მიუშვით ყველაფერს ღონივრად, სანამ ფაშავი არ გამსკდარა!

„ოქტომბერი“ არღვევდა ხანძრად დანთებულ ზღვას, გაჯიუტებულ და გამძვინვარებულ ნადირივით ჰხევდა სივრცეს; ყვითელი, წავარდნილი ენები ლოკავდენ გემის ფოლადის ტანს, ჰკორტნიდენ შელებილ კედლებს, მოფორთხავდენ მაღლა, სულ მაღლა, ზემო ამბარდანამდე. ერდოდან ასხამდენ წყალს და აქროლებდენ. ხანძრისაგან გახურებული სივრცე გრილ ჰაერს ისრუტავდა და ქროლა იწყო, ზღვის ჭავლიან ზედაპირზე იკლაკნებოდა ანარეკლი ცეცხლის ენების, რომელნიც ხან ჩაქრებოდენ და ხან ისევ შემოუტევდენ. ისეთი გრძნობა იყო, თითქოს გემს აუარებელი ცეცხლის ვეშაპი შემოხვეოდა, დაძრწოდენ ირგვლივ, ყირაზე გადადიოდენ, ყალყზე დგებოდენ და ერდოზე შევარდნას იმუქრებოდენ. „ოქტომბერი“ ირთოდა, ულმობელად სრესდა ამ ვეშაპებს თავისი რკინის აღნაგობით; აბობოქრებულ წყალში ნავთი პრიალობდა და აქოჩრილი ცეცხლით აღწევდა ცამდე. იქაც, სადაც გემი „სტოლერი“ იდგა, ქარიშხალი და ხანძარი თითქო ბრუნავდა, ალისფერი ნაფლეთები ტრიალებდა და სივრცეში ცეცხლივით გახურებული ღრუბელი ისე აელვარებულიყო, რომ გეგონებოდათ ეს-ეს არის დაიგუგუნებს და ჩამოსკდებაო.

გამოვა თუ არა „ოქტომბერი“ ამ აზავთებული ჯოჯოხეთიდან?

ხალხი იხუთებოდა სიცხეში. ხანძრის ხორშაკი ფილტვებს ჰკაწრავდა, თვალებს სჭამდა და თავბრუს ახვევდა მეზღვაურებს. საჭირო იყო მთელი ძალის მოკრება, რომ ხანძართან ბრძოლა შესაძლებელი ყოფილიყო.

ამბარდანის სახელდახელო კიბეზე გამოჩნდა კიდევ ერთი ინგლისელი. ეს მაღალი კაცი იყო, ხმელი, საცვლების ამარა. მას გზა გაეკვალა ცეცხლში და ალში და როცა ერდოზე ამოვიდა, ცეცხლი ტანზე კიდევ ეხვეოდა, თითქოს ჩქარობდა მის გაშიშვლებას და ტიტველ ხორცს ეძებდა საღრღნელად. ინგლისელი ოხრავდა, ხტოდა, ტრიალებდა და ხელებს აქით-იქით იქნევდა გიჟივით. სულ მთლად შეტრუსული, სახეგასიებული, ტიტველი ხაპივით მოხდილი თავით ის საშინელს ზღვის მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

ინგლისელებს გროვაში, იქვე ბოგირქვეშ რომ იდგენ, უცებ გაისმა:

— ჩვენი მთავარი მექანიკოსი.

ბოცმანმა ინგლისელის დანახვაზე ჩახლეჩილი ხმით დაიღრიალა:

— წყალი მიასხით, წყალი!

ღონიერი თქეში მოხვდა სახეში და წააქცია, ის რამდენიმეჯერ ყირაზე გადავიდა და მერე ისევ წამოდგა; ორმა ინგლისელმა მას იღლიებში ხელი სტაცა და ბოგირქვეშ ბარბაცით წაიყვანეს. დაფუთქულ სახეზე ტყავი მთლად ასძვრა და ჩვრებივით ჩამოეკიდა.

ბუფეტის მოსამსახურე ქალი კაიუტ-კამპანიის შესასვლელთან იდგა და გაფითრებული მეზღვაურებს კიბის იქით მიუთითებდა:

— ხედავთ? ბაიდა მოსწყდა ამბარდანს.

ინგლისელთა გადამრჩენი ბაიდა გემის დაბრუნებულმა ხრახნილმა ადუღებულ ცეცხლის ღვართქაფში შეიტაცა, მაგრამ ბაიდა საჩქაროდ ისევ შემობრუნდა და ცეცხლისაგან თავისუფალ ადგილისაკენ გამოეშურა. ცეცხლმა შემოტრუსა ამბარდანები და ეხლა შიგ გემში მიფორთხავდა და ულმობელად სწვავდა შიგ მომწყვდეულ ხალხს. ერთმა მეზღვაურმა რატომღაც ბაიდის ნიჩაბის ქნევა დაიწყო ისე, რომ გეგონებოდათ გაბრაზებული „ოქტომბერს“ ემუქრებაო. მერე ის უეცრად მოსწყდა ადგილს და თავდაყირა წყალში გადაეშვა.

ბაიდა თვალის დახამხამებაში შთანთქა ალმა. „ოქტომბერი“ ეხლა საშიშროების გარეშე იდგა. ის ცეცხლის ფართო რკალს ირგვლივ უვლიდა ცოტა მოშორებით. ბოგირიდან რამდენიმე დურბინდით მისჩერებოდენ ხანძარს.

მათ სურდათ გაეგოთ მეორე გადამრჩენი ბაიდის ბედი, ეძებდენ და არ ჰქონდათ ნახვის იმედი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ღამის უკუნეთიდან თანდათან იკვერებოდენ სხვა ეროვნებათა გემები, რომელნიც „სტოლერის“ განგაშის გამო წამოსულიყვნენ.

ამასობაში „ოქტომბერზე“ კაიუტ-კამპანიაში ინგლისელებს დახმარებას უწევდენ. მესამე შტურმანი სხვათა დახმარებით დამწვარ ადგილებს ბინტით უხვევდა მთავარ მექანიკოსს, ის კი ჰკვნესოდა და კბილებს საოცდავად ახრჭიალებდა.

მეზღვაურები შიშველ-ტიტველ უცხოელებს აძლევდენ თავის ტანისამოსს, წინდებს, ფეხსაცმელებს, ქუდებს და სხვა. ერთმა მეზღვაურმა ინგლისელს გერმანეთში ნაყიდი უკეთესი კოსტიუმი ისე თავისუფლად უთავაზა, თითქოს ეს გახვრეტილი გროშის საღირალიც არ ყოფილიყოს, მოსამსახურე ქალი სუფრასთან ტრიალებდა, ცდილობდა უცხოელ მოულოდნელ სტუმრებს ჩაით და პურით მაინც გამასპინძლებოდა.

ინგლისელები ხელს ართმევდენ თავის მხსნელებს, მადლიერად უღიმოდენ თვალებში და უამბობდენ მათ მიერ გადატანილ უბედურებათა შესახებ.

ხანძარი სუსტდებოდა. იქა-აქ ავარდნილი ალი დაძრწოდა ზღვაში დაბნეული და გაფანტული. ღელვა კიდევ უფრო სწეწდა მათ. ბოლოს ღელვაც მინელდა და ზღვაზე ისე ენთო წვრილი ცეცხლები, თითქოს ოქროს თევზები ლაპლაპობენო. გემი „სტოლერი“ იწვოდა ისევ, რომლის ირგვლივ სხვადასხვა გემების ფლოტილია ბუზებივით ირეოდა. აქ იყო საფრანგეთის, ინგლისის, გერმანეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიის გემები. მათ ყველას დაეგვანდათ და ეხლა უკვე არავითარი დახმარების აღმოჩენა აღარ შეეძლოთ.

„ოქტომბრის“ ამბარდანს მოადგა ბაიდა, რომელიც ერთი ინგლისური გემიდან იყო გამოძახებული. ერდოზე ინგლისელი ოფიცერი ამოვიდა და განაცხადა ცნობად, რომ ის პირველი შტურმანია. ეს იყო მსხვილი, შუატანის კაცი, მეზღვაურის ოქროსბუზმენტებიან საზეიმო კოსტიუმით. მან ჩაიბარა გადარჩენილი მეზღვაურები და მერე მიმართა კაპიტანს:

— რა უნდა გადაგიხადოთ?

— „ოქტომბერი“ ხალხის გადარჩენაში გასამრჯელოს არ თხოულობს, ჩვენ კომუნისტები ვართ! — ღირსეულად მიუგო კაპიტანმა.

ოფიცერმა შეურაცხყოფილად მხრები აიჩეჩა.

— ნახვამდე!

— მშვიდობით!

„ოქტომბერი“ გაიმართა, ისევ თავისი გეზი აიღო და გამარჯვებულის ბღავილით შეარყია ჰაერი, რომელიც ხანძრის ხორშაკით იყო ჯერ კიდევ გაჟღენთილი. გემმა სვლას თანდათან უმატა, გვერდით ჩაუარა უცხოელებს, რომელნიც მას ბოგირებიდან და ამბარდანებიდან ჩაციებით უცქეროდენ და შთაინთქა სიბნელეში.

მეზღვაურების უმეტესი ნაწილი საწოლებისაკენ მოსასვენებლად გაემართა.

რადიომოხელე ისევ ბანზე იდგა და ნავსადგურს უძახდა.

ნერვიულად წიოდა დინამო-მანქანა. რადიოაპარატი, ადამიანის ნებას დაყოლილი, ძალას იკრებდა, რომ ცნობა მიეწოდებინა ათასეულიან მანძილზე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, — ცნობა საშინელი ტრაგედიის შესახებ.

ამ დროს მაქსიმე ბოროდკინი იდგა აუზის თავზე და ზუბგით მოაჯირს მიყრდნობოდა. ის იცქირებოდა წინ, იქ, ყრუ უკუნეთში; განვლილი ამბები ისევ თვალწინ ედგა და ჯერ კიდევ კარგად ვერ გამორკვეულიყო: იმასთან შედარებით, რაც მან ნახა და განიცადა ხანძრის დროს, მისი წინანდელი დარდი არაფერი გამოჩნდა, უნდოდა მალე დაბრუნებულიყო სამშობლოში და მოეთხრო ოჯახში ამ საშინელ განცდათა ამბავი.

— ეს კარგი საქმეა, ხალხი დაღუპვას გადავარჩინეთ... — წაიბუტბუტა მან ჩუმად.

„ოქტომბერი“ მიღამებულ ზღვას გულ-ბოყვით ხნავდა, და ამბარდანებს იქით იდუმალად ოხრავდა უფსკრული.

მ. პეტრიაშვილი

რა ევალება ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულს

უკვე მესამე წელია, რაც გამოდის ჟურნალი „პიონერი“ და ჩვენ მალე ვიდღესასწაულებთ მისი არსებობის ორ წელიწადს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჟურნალის და მკითხველების ურთიერთობის საქმეში ცოტა რამაა გაკეთებული. როგორც ვიცით, ამ ჟურნალის უშუალო დანიშნულებაა ემსახუროს და დახმარება გაუწიოს ბავშთა და პიონერთა მასებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს „პიონერის“ მხოლოდ მეტად უმნიშვნელო რაოდენობა საღდება. დასაშვებია თუ არა ასეთი მდგომარეობა? რასაკვირველია, არა. ამისათვის საჭიროა გაძლიერებულ იქნას ბავშების მონაწილეობა ბეჭდვითი სიტყვის საქმეში. ამისათვის **საჭიროა თითოეულ კოლექტივში და თითოეულ სკოლაში იყოს გამოყოფილი ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული.**

ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული არ ნიშნავს კოლექტივის საბჭოს ან წინამძღოლს,—მას ირჩევენ კოლექტივის ან სკოლის მოწაფეთა საერთო კრებაზე.

თავისი მუშაობის შესახებ ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული ამ უკანასკნელის წინაშე აკეთებს მოხსენებას. ეს, რასაკვირველია, სრულიად არ უარჰყოფს იმას, რომ რწმუნებულის ყოველდღიურ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევდეს ,წინამძღოლი, კოლექტივის საბჭო და მოწკომი სკოლაში. კარგია, რომ რწმუნებულთა გადარჩევა ხდებოდეს ყოველ 4-5 თვეში, რომ ამით უფრო მეტი ბავში ჩავაბათ ბეჭდვითი სიტყვის საქმეში.

რა ევალება ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულს?

რწმუნებული უკავშირდება ჟურნალის რედაქციას. მან კარგად უნდა იცოდეს გამოწერის წესები: რა ღირს ჟურნალი, რამდენი ხნით შეიძლება მისი გამოწერა და სხვ. ის თვალყურს უნდა ადევნებდეს ახალი საბავშო წიგნების გამოცემას, უნდა კითხულობდეს მათ შეფასებას ჟურნალ-გაზეთებში.

რწმუნებული ბავშებში აგროვებს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ ეს უკანასკნელნი თავის ჟურნალს და წიგნებს. ეს ცნობები მან უნდა გაუგზავნოს რედაქციას; გაიგებს, თუ რისი წაკითხვა უფრო უნდათ ბავშებს, ე. ი. რა თემები აინტერესებთ მათ საბავშო ლიტერატურის დარგიდან, მოაწყობს კოლექტივთან, ფორპოსტთან და მოწკომთან ერთად ჟურნალ-გაზეთების გასამართლებას.

რწმუნებული არის მთელი ბეჭდვითი საქმის რწმუნებული კოლექტივში, აქტიურ მონაწილეობას იღებს თავისი პრესის სასარგებლოდ მოწყობილ საღამოში, პრესის კუთხის მოწყობაში, კედლის გაზეთის გამოშვებაში. ამისათვის ის აუცილებლად შედის ბავშკორთა წრეში და მასთან ერთად ატარებს ყოველგვარ სამუშაოს.

რწმუნებული თვალყურს ადევნებს სათანადო გამოცემათა თავის დროზე მიღებას ხელმომწერთა მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ეწესრიგოდ, დაგვიანებით მოდის რომელიმე ხელმომწერს ჟურნალი, ამის შესახებ ატყობინებს რედაქციას.

რწმუნებული უკავშირდება საბავშო ბიბლიოთეკას, ეხმარება მას ახალი და კარგი წიგნებით შევსებაში , თვალყურს ადევნებს ჟურნალების და გაზეთების გამოწერას.

აი ის უმთავრესი ამოცანები, რომელიც დგა ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულთა წინაშე.

მხოლოდ მათი საშუალებით შევძლებთ ჩვ. იმის განხორციელებას, რასაც ისახავს მიზნად „პიონერი“ კოლექტივის ცხოვრებაში.

უცხოელი პიონერები საბჭოთა კავშირში სტუმრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იბრძოდენ პატარა რევოლუციონერები

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ წიგნებს მოზრდილი მუშების—მამაკაცების და ქალების—ბრძოლის შესახებ, პატარა მებრძოლებზე კი ხსენებაც არ არის.

ნამდვილად კი პატარა ბავშები არამც თუ მუშაობდენ, იბრძოდენ კიდეც მუშებთან ერთად.

მათ არ აშინებდათ არც ცემა-ტყეპა, არც დატუსაღება და არც სიკვდილი.

ყველა ისინი მედგრად იბრძოდენ და თავს სწირავდენ მუშათა ინტერესების საერთო საქმეს.

საფრანგეთის მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ მშვენიერად აღწერა პატარა რევოლუციონერი, რომელმაც თავი დასდო ბარიკადებზე მშრომელი კლასის საქმისათვის.

ჩვენ ვიცნობთ ამნაირ ბავშებს ათასობით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1848 წელს, ბურჟუაზიასთან ბრძოლაში საქმე მივიდა ბარიკადებამდე და იყო კიდეც ხელჩართული ბრძოლა.

აი, დაეცა ბარიკადის უფროსი ტყვიით განგმირული. მას სცვლის ბარიკადზე პატარა გოგონა. იგი ართმევს მომაკვდავს დროშას და მხნედ მოუწოდებს საბრძოლველად თავისიანებს ბარიკადის დასაცავად.

ტყვია არ ინდობს ახალგაზრდა გმირს, მაგრამ ის მარტო არაა. მას სცვლის თავისუფლებისთვის თავდადებული მეორე გოგონა.

მამაკაცთ და დედაკაცთ გვერდით მამაცად იბრძვიან ბავშები.

მუშები დამარცხდენ. ბურჟუაზია ჯავრს იყრის: აპატიმრებენ, ჰკლავენ და ხვრეტენ არამცთუ დიდ მებრძოლებს, არამედ პატარა ბავშებსაც.

1848 წლის აჯანყება საფრანგეთში ჩააქრეს, მაგრამ მებრძოლთ ხელი არ აუღიათ ბრძოლაზე.

ოცი წლის შემდეგ ხელახლად იწყება ბრძოლა. ახლაც ბალღები არ რჩებიან უკან დიდებს.

გმირულად იბრძოდენ პარიზის ახალგაზდა მუშები პარიზის კომუნის დროს, 1871 წელს.

ნორჩი კომუნარები არ შორდებოდენ პარიზის ქუჩებს.

ისინი იცავდენ ნაციონალური გვარდიის ზარბაზნებს.

ისინი იღებდენ მონაწილეობას ქუჩის ბრძოლებში თავის მტრებთან.

ზოგ ადგილას შველოდენ დიდებს ბარიკადების მოწყობაში.

ხანდახან ეს პატარა რევოლუციონერები ასრულებდენ ლიტერატურის დამტარებლების როლს, ქსელი ჰქონდათ გაბმული ჯარის ნაწილებთან.

გულადად იბრძოდა პარიზის კომუნის ბავშობა, მაგრამ გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ იაფად არ დაუსვა თავგანწირვა მათ.

მარტო პარიზში, კომუნის დამარცხების დროს, დაიღუპა ცამეტი ათასზე მეტი ბავში.

აი, რას სწერს ფრანგი მწერალი ლისაგარა თავის თხზულებაში: „პარიზის კომუნის ისტორია“:

„სასამართლოს წინაშე წარსდგა თხუთმეტი ბავში პარიზიდან. სულ უფროსი ბავში თექვსმეტი წლისაა, სულ პატარა ისეთი პაწიაა, რომ ძლივს ჩანს მოაჯირის იქით, სადაც სხედან ბალღები-ბრალდებულები; ის თერთმეტი წლის თუ იქნება. მათ ლურჯი ბლუზები აცვიათ. თავზე სამხედრო კეპკები ხურავთ. ყველანი მუშების შვილები არიან.

— დრუე,—ეკითხება ჯარისკაცი,—რა ხელობისაა მამაშენი?

— ის მემანქანე იყო.

— რატომ არ მუშაობდით თქვენ, როგორც ის?

— მე არ მქონდა სამუშაო.

— ბუვერო, რამ გაიძულათ გამხდარიყავით კომუნარი?

— შიმშილმა.

— კონკოლო, თქვენც კომუნის მომხრე იყავით?

— დიახ.

— რათ მოშორდით თქვენს ოჯახს?

— იმიტომ, რომ პური არ გვქონდა.

ამ ბავშებს სიკვდილი მიუსაჯეს.

მუშათა კლასის ბრძოლაში მარტო საფრანგეთის ბავშები კი არ იბრძოდენ, არამედ სხვა ბავშებიც.

იბრძოდა რუსეთის მშრომელი ახალგაზრდობაც. მან ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, რუსეთში გამრავლდა მებრძოლ ბავშთა რიცხვი და მათი რევოლუციონური მოქმედება უფრო ენერგიული და გაცხოველებული იყო.

1879 წელს, მაშინდელ პეტერბურგში მომუშავე ქალები გაიფიცენ შაპშონის თამბაქოს ფაბრიკაში. ამ გაფიცვაშიც მონაწილეობას იღებდენ ბავშები.

ერთი წლის შემდეგ კი გაიფიცენ კენიგის თუთუნის ფაბრიკის მომუშავე ბიჭები. ისინი თხოულობდენ სამუშაო დღის შემოკლებას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე გრძელდებოდა. ბავშვებს მხარს უჭერდენ დიდებიც და გაიმარჯვეს კიდეც.

ფრიად გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდენ ეს ბალღები გაფიცვის ორგანიზაციის მოწყობაში.

მათ ევალებოდა ლიტერატურის გავრცელება. ლიტერატურას ისინი პოლიციის შეუნიშნავად გადაიტანდენ ხოლმე დანიშნულ ალაგას, მერე არიგებდენ ნელ-ნელა და ფრთხილად მუშებში.

მეფის რეჟიმის დროს კი ეს საქმე ასე ადვილი არ იყო.

ქარხანაში ისინი მიდიოდენ ყველაზე ადრე და იარაღიან ყუთში სდებდენ ფურცლებს. ხშირად სდებდენ ხოლმე დაზგებზე და აკრავდენ საპირფარეშოზე. გამბედავი ბავშვები ახერხებდენ კიდეც ჩაედოთ ეს ფურცლები მუშებისათვის ჯიბეში.

კრების დროს, გაფიცვის მოწოდებაზე, მოზარდნი ორნაირ საქმეს აკეთებდენ: ზოგიერთნი გარშემო ეხვეოდენ ორატორს, მტრისაგან ყოველ შემთხვევაში დასაფარავად, ზოგიერთნი კი ზვერავდენ ქარხნის ჯაშუშებს და უშლიდენ ორატორის ნათქვამის და მუშა მსმენელების გვარის ჩაწერას.

პოლიცია დიდებზე არა ნაკლებ სდევნიდა პატარა მებრძოლებს.

მოტოვილიზში მუშათა შეიარაღებული აჯანყებისათვის ციხეში ჩააწყვიეს 14-15 წლის 14 ბავში.

1905 წლის რევოლუციამ მოგვცა არა ნაკლები მებრძოლი ბავშვები და მეფის რეჟიმის მსხვერპლნი.

დემონსტრაციაში ამ თავგანწირულ ბავშებს თავი გმირულად ეჭირათ.

ამხ. ფრუმკინი,—ეს უფროსი რევოლუციონერი,—ამნაირად ახასიათებს პატარა გმირებს:

„ბავშის ძვალ-რბილში გამჯდარი იყო სიძულვილი მჩაგვრელი ბურჟუაზიისადმი და სისხლის მსმელი პოლიციისა და ჯანდარმისადმი, სავსე იყო ამ ბოლმით მათი გული, მგრძნობიარე გული პროლეტარი ბავშებისა“!

სამხედრო მდგომარეობის დროს თვითვარშავის ქუჩებზე ბავშები წითელი დროშით მიმოდიოდენ.

1907 წელს მუშებთან ერთად ვმუშაობდი ვოლოდარსკის რაიონში,—მაშინ „ნევსკაია ზასტავა“ ერქვა. თითქმის ყველა სარევოლუციონერო საქმე სკოლაში წარმოებდა, —ეხლა კრუპენსკის სახელობის განათლების სახლია.

ხიფათის ასაცდენად,—რომ არ ჩავეგდეთ პოლიციას ხელში, — ბალღებს ვაყენებდით სადარაჯოდ.

ეს ყმაწვილები შენიშნავდენ თუ არა პოლიციას, მაშინვე მოგვცემდენ პიროობით ნიშანს და მყისვე ჩვენს სამეცადინო მაგიდებზე გაჩნდებოდა ხოლმე ჩვეულებრივი სახელმძღვანელოები და რვეულები.

ამგვარად დავიხსენით ერთხელ დაჭერისაგან ამხ. ზინოვიევი და ლიადოვი.“

არა ნაკლებ მონაწილეობას იღებდენ ბავშვები ოქტომბრის რევოლუციაშიც და შემდეგ სამოქალაქო ბრძოლებში; ეს ბავშები უმეტესად მუშის შვილები იყვნენ, რომელნიც თავისი მშობლების კარნახით და მათთან ერთად აკეთებდენ ბევრ სასარგებლო საქმეს. დღეს მშრომელი ბავშებისათვის გახსნილია გზები შემოქმედებისთვის, ისინი დიდ მონაწილეობას იღებენ ახალი ცხოვრების მშენებლობაშიც და ამავე დროს ირაზმებიან მომავალი ბრძოლებისათვის.

რა გააკეთე

ჟურნალი „პიონერის“ გავრცელების საქმეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერმანელი პიონერები.

— აბა, როგორ ცხოვრობთ, ბავშვებო? როგორ გაქვთ საქმეები უჯრედში? უკეთესად თუ უარესად? შევეკითხე პიონერებს.

— როგორ გითხრათ? ზოგიერთი რამ უკეთესად, ვიდრე გასულ წელს, ზოგიც ისევე, როგორც წინათ იყო,—მიპასუხა ერთმა მათგანმა.

— აბა, რა გაქვთ უკეთესად?—ჩავეკითხე.

— აი, მაგალითად, ჩვენ შევისწავლეთ, თუ როგორ უნდა ჩავაბათ ჩვენ მუშაობაში ინდიფერენტულად განწყობილი (ე. ი. რომელთაც არ აინტერესებთ მუშაობა) ბავშვები; შემდეგ, ახლა უფრო ცოცხლად ვატარებთ ჩვენს კრებებს; ზაფხულობით ხომ კიდევ უფრო მხიარულად და უკეთესად ვმუშაობთ...

— აბა, ერთი მიპასუხეთ, რამდენი ბავში მოგყვებათ თქვენ, როდესაც ებრძვით ბურჟუაზიულ სკოლას?—პირდაპირ დავუსვი კითხვა.

ყველანი გაჩუმდენ. ბავშვები ითვლიდენ, იხსენებდენ უკანასკნელ შემთხვევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სკოლაში.

— ჩვენს სკოლაში მომყვება არა ნაკლებ 15 ბავშისა — დაბოლოს წარმოსთქვა ერთმა მათგანმა.

ჩვენთან კი უფრო ნაკლები მიჭერს მხარს, დაახლოებით 12,—მიპასუხა მეორემ.

— შენ რამდენი გიჭერს მხარს?—მივუბრუნდი პიონერ ქალს, რომელიც დიდხანს ჩუმად იყო.

— ჩვენს კლასში მხოლოდ მე ვარ პიონერი, ჩემთან ერთად ყოველთვის გამოდის 6-7 ქალი, ჰინდენბურგის (გერმანიის პრეზიდენტია) დღესასწაულის დღეს კი თითქმის მთელი კლასი გამომყვა. მართალია მაშინ ჩვენ კარგად მოვამზადეთ საქმე,—დარწმუნებით მიპასუხა პიონერმა ქალმა.

— როგორც ჩანს, საქმე არ არის ცუდად დაყენებული,—გავიფიქრე. ჩვენშიც რომ ასე თითოეულ პიონერს თავის ირგვლივ შემოკრებილი ჰყავდეს 5-10 შეუკავშირებელი ბავში, მაშინ ჩვენი ძირითადი ამოცანა გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგ დაწვრილებით გამოვკითხე შინ მათი ცხოვრების, სკოლაში მუშაობის, პიონერ-ორგანიზაციის სიძნელეების, შემდგომი წინსვლის და მრავალი სხვა რამის შესახებ.

ყველა შეკითხვაზე საფუძვლიანი პასუხი მივიღე. მე მესმოდა მათგან არა საერთო მსჯელობა, არამედ მოჰყავდათ კონკრეტი ფაქტები თავისი მუშაობის გამოცდილებიდან, დასკვნები, ახალი წინადადებანი და სხვ. 13-14 წლის ბავშვები ერკვეოდენ არა მარტო თავისი უჯრედის, არამედ მთელი ორგანიზაციის ჯგუფის მუშაობაში.

ეს ბავშვები რეგულიარულად იკრიბებიან თავის რაიონში და მთელ ქალაქში ერთად (რაიონში ერთხელ კვირაში, ქალაქში ერთხელ თვეში); აქ ისინი მსჯელობენ უჯრედის, ჯგუფის და ქალაქის მთელი ორგანიზაციის მუშაობის ყველა საკითხის შესახებ. ამ აქტიური ბავშვების ნაწილი იყო ეგრეთწოდებულ პიონერულ სკოლებში, რომელიც მოწყობილ იქნა ჰამბურგში ერთი კვირის ვადით, სადაც ბავშვები ამუშავებდენ ბრძოლის პრაქტიკულ საკითხებს, ატარებდენ თამაშობებს, ფიზკულტურას და უშვებდენ სასკოლო გაზეთს; ერთი სიტყვით, ამ სკოლაში პიონერები ცხოვრობდენ კოლექტიურად, იძენდენ ახალ-ახალ გამოცდილებებს. ბავშვების ეს აქტივი წარმოადგენს ჰამბურგში პიონერ-ორგანიზაციის მთელი მუშაობის მთავარ ძალას. მათი მონაწილეობის გარეშე ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ სწყვეტენ საკითხებს, რომელნიც შეეხება უჯრედებს და ჯგუფებს.

მუშაობის ასეთი სისტემის წყალობით ბავშთა შორის აქტიობა ძლიერ იზრდება; ბავშები თვით აყენებენ წინადადებებს და მთელ თავის ძალას პროლეტარული ორგანიზაციის აღმშენებლობას სწირავენ.

ბავშებთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გადავწყვიტე მესარგებლა ერთ-ერთი ბავშის წინადადებით და მენახა მათი უჯრედი და კრება, რომელიც დანიშნული იყო საღამოს 7 საათისათვის. ეს საშუალებას მაძლევდა გავცნობოდი ადგილობრივ ყველაფერს, რაც მიამბეს ბავშებმა. მე გავაფრთხილე პიონერი, რომ მათი უჯრედის მუშაობის დათვალიერება მინდა იმ სახით, როგორც არის და ამიტომ

მას წინასწარ არაფერი არ უნდა ეთქვა ამხანაგებისთვის ჩემი მათთან მისვლის შესახებ.

— „ეს ისტ კლარ“ (ე. ი. ეს თავისთავად ცხადია),—იყო პასუხი.

ბავშები თვალის დახამხამებაში დაიშალენ.

* * *
* * *

მივადექი "დიდ სახლს... აქ არის „წითელი ფრონტის“, კომკავშირის და ნორჩ სპარტაკელთა კავშირის სამყოფი ადგილი... გავიარე დიდი საერთო ოთახი და შევედი მოზრდილ სუფთა ოთახში...

გრძელ მაგიდას ირგვლივ შემოსხდომია 30 ბავში (მათგან დაახლოებით 15 იყო ვაჟი) პიონერული ტანსაცმელებით (თეთრი ხალათებით, წითელი ყელსახვევებით) და რაღაცის შესახებ მსჯელობენ.

ვეძებ წინამძღოლ კომკავშირელს, მაგრამ ვერ ვხედავ. ბავშები თვითონ მუშაობენ. კრებას ხელმძღვანელობს ჩვენი ნაცნობი 13 წლის პიონერი, რომელიც 3-4 საათის წინ მესაუბრებოდა.

მე მათ ვესალმები პიონერული ნიშნით და წყნარად ვჯდები მახლობლად სკამზე.

ბავშები განაგრძობენ მუშაობას.

ლაპარაკობს ჩვენი გაინცი.

ის ბავშებს ახსენებს მახლობელ გამოსვლებს და მოუწოდებს მათ შემდგომი მუშაობისაკენ.

ის იგონებს აგრეთვე „ჰინდენბურგის დღესაც“ (როგორც ჩანს, ეს მებრძოლი დღე გერმანიის პროლეტარიატის გამოსვლებისა ძლიერ დაამახსოვნდათ ბავშებს) და საბავშო დღესასწაულს, რომელიც მომოწყობილ იქნა უმუშევარი მუშების ბავშებისათვის.

ლაპარაკობს ის მხურვალედ, დამაჯერებლად, მოჰყავს მაგალითი ბავშებისა და მოზრდილების ცხოვრებიდან. ყოველ წინადადებას ის ასრულებს მხურვალე მოწოდებით: „მთავარი ისაა, ამხანაგებო, რომ გქონდესთ რევოლუციონური დისციპლინა“.

ბავშები გულდასმით ისმენენ თავისი პატარა ხელმძღვანელის სიტყვებს.

დაბოლოს, მან გაათავა თავისი სიტყვა.

შემდეგ წინადადება მისცა ბავშებს გამოეთქვათ თავისი აზრი, შემოეტანათ წინადადებები მომავალი მუშაობისათვის.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. როგორც ჩანდა, „სხვების“ დასწრება რამოდენიმედ „აწუხებდათ“, რომ გამოეთქვათ თავისი აზრები. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სიწყნარე დაარღვია ერთმა გაბედულმა პიონერმა (რომელიც ლაპარაკობდა ჰამბურგის დიალექტით, რამაც მხიარული განწყობილება შექმნა ბავშებში). შემოიტანა წინადადება, რომ მორიგ საკოლო გაზეთში აუცილებლად აეწერათ შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცოტა ხნის წინათ მათ სკოლაში.

— ჩვენ გვინდოდა, რათაც გინდა დაგვჯდოდა, დაგვემტკიცებია ბავშებისათვის და მასწავლებლისათვის, რომ რელიგიის შესწავლა ეწინააღმდეგება დანარჩენ საგნებს, მთელ მეცნიერებას. როდესაც ჩვენმა მასწავლებელმა დაიწყო საუბარი ადამიანის წარმოშობის შესახებ, მაშინ მივეცი შეკითხვა, თუ რატომ იყო, რომ საღვთო სჯულის გაკვეთილზე სულ სხვაგვარად გვიამბეს. მაშინ მასწავლებელი გაბრაზდა და მიპასუხა: „თქვენ ჯერ კიდევ პატარები ხართ იმისთვის, რომ ეს გაიგოთ. აქ არაფერი არ არის საშინელი. ღმერთმა შექმნა ყველაფერი ცოცხალი, ხოლო ამ ცოცხლისაგან წარმოიშვა ადამიანი. და, საერთოდ, თუ ხელს შემიშლი, მაშინ გარეთ გაგაგდებ“.

ამის საპასუხოდ ბავშებმა გაიცინეს, რამდენიმე ბავშმა კი დაიძახა:

— ძირს რელიგია, ის ჩვენ არ გვინდა სკოლაში!

მასწავლებელი გაბრაზდა და დაგვემუქრა, რომ ის ყველას დაიჭერს, ვინც ასეთ გამოსვლებს აწყობს, გამოიძახებს მშობლებს, რომ მათ დაარიგონ თავისი შვილები.

ყველანი მხიარულები იყვნენ. გაკვეთილის გათავების შემდეგ ბევრი ვიმსჯელეთ მომხდარი ამბის შესახებ.

წინადადება წინადადებას მისდევდა. ის ეხებოდა უჯრედის მუშაობის ყველა მხარეს.

ამ მსჯელობაში საათი გავიდა. გაინცი, გაითვალისწინა რა ბავშების განწყობილება, შეეცადა დაესრულებია და შემოიტანა წინადადება ახლა თამაში დაეწყოთ. ბავშები იმ წამსვე წამოხტენ და წრე გააკეთეს.

20 წუთის თამაშის შემდეგ მათ დაიწყეს განაწილება ეხლახან მოსული ჟურნალ „დოლის“ ნომრების. ხაზინადარმა მოაგონა ბავშებს იმის შესახებ, რომ შემდეგი კრებისათვის უნდა მოიტანონ საწევრო გადასახადი და ბილეთები აღსანიშნავად. თითოეულმა ბავშმა წაიღო 10-15 ნომერი თავისი ჟურნალისა, რომ გაევრცელებია.

ბავშებმა დაასრულეს თავისი კრება. ისინი წამოდგენ და აღფრთოვანებით დაიწყეს „ინტერნაციონალის“ მღერა.

შემდეგ დაიშალენ.

ვ. ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბის წიგნაკი

უბის წიგნაკი პიონერის საუკეთესო მეგობარია და მისი დამხმარე საშვალება საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი ეკუთვნის იმ რიგის საშვალებას, რომელსაც არასდროს არ უნდა ივიწყებდე. მიდიხარ ექსკურსიაზე, სკოლაში თუ შეკრებაზე, ზიხარ ოთახში, თუ ათვალიერებ რაიმე გამოფენას—ეს პატარა მეგობარი თან უნდა დაგქონდეს უბით. საქმე ისაა, რომ რაც გინდა კარგი მესხიერება გქონდეს, ყოვლად შეუძლებელია დაიმახსოვრო ყველაფერი, რისი დამახსოვრება და ცოდნაც საჭიროა. არის შემთხვევები, რომ გონებიდან ამოიშლება არა თუ პატარა, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტებიც. გაიხსენეთ, რამდენს გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ საჭირო დროს დაგვიწყებიათ მისამართი, წიგნის სახელი, ან სხვა რაიმე, ბევრი გიფიქრიათ, მაგრამ ვერ მოგიგონებიათ.

ამგვარი შემთხვევებისაგან დაგიფარავსთ პატარა უბის წიგნაკი, რომლის შეძენა არც ისე ძნელია.

ამბობენ, რომელიმე ხალხის კულტურულობა შეიძლება იმითაც გაიზომოს, თუ თითოეულ კაცზე რამდენი კბილის საწმენდი მოდისო. საჭიროა ამას კიდევ უბის წიგნაკიც მივუმატოთ.

დაახლოვებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში 50 კაცზე მხოლოდ ერთი უბის წიგნაკი მოდის, გერმანიაში კი თითოეულ კაცზე ორი ან მეტი. შეიძლება ამ ფაქტის შესამოწმებლად შემდეგი ხასიათის ცდის გაკეთება: ვთხოვოთ ცნობა რომელიმე 5 ინჟინერს, 5 მუშას და 5 გლეხს იმის შესახებ, მოეპოვებათ თუ არა მათ უბის წიგნაკები.

დაინახავთ, რომ უბის წიგნაკი აღმოაჩნდება ყველა ინჟინერს, მუშებს კი მხოლოდ იმათ, ვინც უფრო შეგნებულია. რაც შეეხება გლეხებს, მათ შესაძლებელია ასეთი წიგნაკი არც ერთს არ ექნეს. მაგრამ როგორ არის საქმე ამ მხრივ პიონერებსა და ბავშებს შორის? რასაკვირველია, არასასურველად. ბევრ ბავშს არა თუ მოეპოება უბის წიგნაკი, არც კი იცის მისი მოხმარება და მნიშვნელობა.

უბის წიგნაკის ხმარება ჩვეულების საქმეა. ამიტომ საჭიროა შევიძინოთ ეს წიგნაკი და მივეჩვიოთ მის მოხმარებას.

არიან ისეთი ბავშებიც, რომელთგან ერთნი შეიძენენ წიგნაკს და სანამ ის ახალია, ჩაწერენ რაიმეს, შემდეგ კი იგი ჯიბიდან ამოუღებლად გაიცვითება და გადასაგდები გახდება. არიან ისეთებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ უბის წიგნაკში ჩაწერილი უნდა იყოს მხოლოდ მნიშვნელოვანი რაიმე და არა ყოველდღიური წვრილმანები. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც იციან უბის წიგნაკის მნიშვნელობაც და მოხმარებაც. ასეთი ბავშები უბის წიგნაკში იწერენ ყველაფერს, რასაც კი მნიშვნელობა აქვს. უბის წიგნაკში, პირველ ყოვლისა, უნდა ჩაიწეროს მისამართები; დაიწყეთ ხელმძღვანელის მისამართიდან და ჩაწერეთ ყველა ამხანაგისა და ნაცნობების მისამართები. არაა სავალდებულო იცოდე, ვინ სად ცხოვრობს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ეს მაინც საჭიროა.

საჭიროა აგრეთვე უბის წიგნაკში ჩაიწეროთ ტელეფონის ნომრები უახლოესი ცეცხლის მქრობელი რაზმის, აფთიაქის, ამბულატორიის, ექიმის, მილიციის: რაიმე უბედურების შემთხვევის დროს თქვენ შეგიძლიათ უბის წიგნაკში ჩაწერილი მისამართის წყალობით დახმარება აღმოუჩინოთ საზოგადოებას და ამით შეასრულოთ ერთ-ერთი თქვენი პიონერული ვალდებულება.

წიგნაკში უნდა ჩაიწეროს გაკვეთილების ცხრილი, წრეების, ფორპოსტის და რგოლის კრებების დღეები და სხვა. შეიტანეთ წიგნაკში განყოფილება, სადაც აღინიშნება წასაკითხავი წიგნები. გეგმიანად კითხვა მეტად აუცილებელი საქმეა, ეს კი შეიძლება უბის წიგნაკის საშვალებითაც აწარმოოთ. არის ხანდახან ისეთი შემთხვევა, რომ დაგებადებათ რაიმე მნიშვნელოვანი აზრი; ამისათვის საჭიროა იგი არ დაგავიწყდესთ, ჩაიწეროთ სასწრაფოდ. ჩაიწერეთ მოკლედ, დაახლოვებით ასე: „საჭიროა დავაარსოთ ჩვენს კოლექტივში სამკითხველო ისე, როგორც ეს მე-52 კოლექტივშია“ და სხვ. ეს განყოფილება საჭიროა იმისათვის, რომ დროგამოშვებით მოიგონოთ, თუ რა უნდა გააკეთოთ და როგორ უნდა იმოქმედოთ. დასასრულ, წიგნაკში იწერება ყოველდღიური საქმეების წვრილმანებიც. უბის წიგნაკის მოხმარება, ამრიგად, მიგაჩვევსთ ორგანიზაციულობას და მეტ აქტივობას.

წიგნაკის ყდაზე უნდა დაიწეროს, თუ ვის ეკუთვნის იგი და ბინის მისამართიც. შეიძლება გამოიკვეთოს ზედ პიონერული ნიშანიც.

წიგნაკი რომ სუფთად და დიდხანს შეინახოთ, საჭიროა გაუკეთდეს მას რომელიმე სქელი ქაღალდის მეორე ყდა. ამრიგად უბის წიგნაკით ჩვენ შევაიარაღებთ ჩვენს თავს და მუშაობაში მეტ გეგმიანობას შევიტანთ. დროა, ვისწავლოთ უბის წიგნაკით სარგებლობა.

ანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონია

იაპონია მდებარეობს წყნარი ოკეანეს კუნძულებზე. იგი შესდგება ექვსი დიდი კუნძულისაგან, როგორიცაა, მაგალითად: ხონსიუ, კიუსიუ, სიკოკუ, ხოკაიდო, კარაფუტო და ტაივანი. აზიის მატერიკსა და იაპონიის კუნძულებს შორის მდებარეობს იაპონიის ზღვა. ზემოთ დასახელებულ კუნძულებს გარდა იაპონიას ეკუთვნის აგრეთვე 4,000 წვრილი კუნძული. მას უჭირავს 670 ათასი კვადრატ. კილომეტრი, ასე რომ მისი სივრცე სამჯერ მეტია დიდი ბრიტანეთის კუნძულის სივრცეზე.

იაპონიის მაღლობ ადგილებში 200 ვულკანია. მათ შორის ამჟამად 50 ვულკანი მოქმედობს. ამიტომაა, რომ იაპონიის ამა თუ იმ კუთხეში მიწისძვრა ხშირი მოვლენაა. იაპონიაში 1923 წელს იყო დიდი მიწისძვრა და ქვეყანას დიდი ზიანიც მიაყენა: მიწისძვრამ დაანგრია ქალაქები ტოკიო და იოკაგამა, 7,000 ფაბრიკა-ქარხანა განადგურდა და ათიათასობით ხალხი დაიღუპა.

იაპონიაში 76 მილიონი მცხოვრებია.

იაპონიას ჩინელები „ნიპონს“ ეძახიან, რაც ნიშნავს: „ქვეყანა, საიდანაც მზე მოდის“. იაპონია, მართლაც, ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარეობს და ასეთი სახელიც, ალბათ, იმიტომ უწოდეს.

მე-17 საუკუნემდე იაპონია დამოუკიდებელ კულტურულ ცხოვრებას ეწეოდა. ამ ქვეყანაში მაშინ ცხოვრობდენ გლეხები, მოხელეები და შინამრეწველები. იაპონიის მცხოვრებნი მე-17 საუკუნემდე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდენ და კუნძულებზე თავისთვის ცხოვრობდენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპისა და ამერიკის კაპიტალიზმი განვითარდა, კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა გაფაციცებით დაიწყეს ბაზრების ძებნა, ეძებდენ ბაზრებს იმიტომ, რომ აქ უნდა გაესაღებიათ თავისი საქონელი და აგრეთვე იქიდან ნედლი მასალა გამოეზიდათ. ამრიგად ისინი იაპონიაშიც შეიჭრენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იაპონია ჩქარის ნაბიჯით მიიწევს კაპიტალიზმისაკენ, იგი ჯერჯერობით მაინც სამიწათმოქმედო ქვეყანას წარმოადგენს. მისი მცხოვრებლების ნახევარზე მეტი მიწათმოქმედებას მისდევს.

იაპონია უმეტესად მთაგორიანი ქვეყანაა. მაღლობ ადგილებში მიწათმოქმედების წარმოება შეუძლებელი ხდება. მიწათმოქმედება უფრო შესაძლებელია დაბლობ ადგილებში და ასეთები კი იქ შედარებით მცირეა. ამიტომ იაპონელი გლეხი მიწის დიდ სივიწროვეს განიცდის, მას უხდება მთელი დღე-ღამობით მუშაობა, რომ როგორმე მოიყვანოს სარჩო და თავი დაიხსნას სიმშილისაგან.

იაპონიაში უკანასკნელ დროს ძალზე განვითარდა გლეხთა მოძრაობა; ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობს უმიწაწყლობა; ამიტომ 1923 წელს იაპონიაში დაარსდა გლეხთა კავშირები, რომლებშიაც ათიათასობით არიან ჩაწერილი.

იაპონიაში უმთავრესად სთესენ ბრინჯს. ბრინჯია მათთვის მთავარი საჭმელი, ბრინჯისაგან ხდიან აგრეთვე არაყსაც. ბრინჯის ღეროებით ხურავენ სახლებს, აკეთებენ ქაღალდს, ქსოვენ ბაწრებს, ქუდებს და სხვა.

იაპონიის ბრინჯი საუცხოვო ხარისხისაა და ამიტომ გლეხები მას ჰყიდიან საზღვარგარეთ გასატანად, თვითონ კი ჩინეთიდან შემოტანილი ბრინჯით იკვებებიან, რომელიც უფრო იაფი უჯდებათ.

ბრინჯს გარდა იაპონიაში უფრო სთესენ შვრიას, ქერს, ხორბალს და კართოფილს. გლეხებმა ამ ბოლო დროს მეჯოგეობასაც მიჰყვეს ხელი. ნაწილი მეთევზეობასაც მისდევს.

მრეწველობის უმთავრეს დარგს შეადგენს საფეიქრო მრეწველობა. 1907 წელს 5.000 ქარხანა იყო, 1918 წელს—16.000, ასე რომ ამჟამად იაპონიის მრეწველობაში ორი მილიონი მუშაა დაბანდებული.

მთავარი სამრეწველო ცენტრებია იაპონიაში **ტოკიო** (სატახტო ქალაქი) და **ოსაკა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების სიღარიბის გამო, რაც იწვევს ხელფასის იაფობას, მრეწველობის მუშების მდგომარეობა აუტანელია. ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ აგრეთვე ქალებიც.

სამუშაო დღე გრძელდება 12 საათს, ზოგჯერ 16 საათსაც, ხელფასად დღეში იღებენ ერთ იენს (ერთ მანეთს უდრის დაახლოვებით). ფაბრიკა-ქარხნებში მუშების ბინები ძალზე უსუფთაოა, ეს კი იწვევს მუშათა შორის ავადმყოფობას. ერთი მესამედი იაპონელი მუშებისა ჭლექიანია.

მსოფლიო ომში იაპონიამაც მიიღო მონაწილეობა. ის ანტანტის (ინგლისის-საფრანგეთის) მხარეზე იყო; მან დაიჭირა ჩინეთში გერმანიის ციხეები და მეფის რუსეთს უგზავნიდა მსოფლიო ომის დროს საომარ მასალას. მსოფლიო ომის დროს გერმანიასა და ევროპის სხვა მეომარ სახელმწიფოებს აღარ შეეძლოთ ეწარმოებინათ ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამით კი ისარგებლა იაპონიამ და განთავისუფლებული ბაზრები ხელში ჩაიგდო, ვინაიდან მოცილე არ ჰყავდა; მან გააჩაღა ვაჭრობა ამერიკასთან, ავსტრიასთან, ინდოეთთან, რუსეთთან, ესპანეთთან და ოსმალეთთან. ამ ვაჭრობით იაპონია ძალზე გამდიდრდა და დაიწყო საომარ გემების შენება. მან ძლიერი საომარ ფლოტი გაიჩინა და და დღეს ზღვაზე მესამე ადგილი უჭირავს ძლიერებით.

იაპონიის დამოკიდებულება სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან თანდათან მწვავდება და ამისი მთავარი მიზეზია იაპონიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ქიშპობა ჩინეთის გარშემო. ჩინეთს იაპონიისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. იაპონიას თვითონ თითქმის არ გააჩნია რკინის მადანი და ნახშირი, ეს ნედლი მასალა მას ჩინეთიდან შეაქვს. ამავე დროს ჩინეთი იაპონიისათვის დიდ ბაზარს წარმოადგენს საქონლის გასასაღებლად.

იაპონიის კაპიტალისტებს ეკუთვნის ჩინეთში ქვანახშირისა და რკინის მაღაროებიც. ნაწილობრივ იაპონელები რკინისგზებსაც ფლობენ. საერთოდ, იაპონიის კაპიტალისტები ორი მილიარდი მანეთის სიმდიდრეს ფლობენ ჩინეთში. ბურჟუაზიას ეშინია ამ სიმდიდრეების დაკარგვისა და ამიტომ შეურიგებელი მტერია ჩინეთის რევოლუციისა; იაპონია იმის მომხრეა, რომ ჩინეთმა აწარმოოს ბრძოლა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, რომ ამით თვითონ ისარგებლოს და მათი განდევნის შემდეგ თვით დაეპატრონოს ჩინეთს. როდესაც ჩინელები გამოუცხადებენ ხოლმე ბოიკოტს ინგლისის საქონელს, იმით სარგებლობს იაპონიის ბურჟუაზია და ჩინეთში თავის საქონელს ასაღებს.

საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის 1925 წ. დაიდვა ხელშეკრულება და ამ დროიდან კავშირის წარმომადგენლობა ტოკიოში იმყოფება.

იაპონია ძალზე აძლიერებს თავის საზღვაო ფლოტს და, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მას ამჟამად მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მთელი სახელმწიფოს გასავალის $^2/_5$ იაპონია სამხედრო უწყებაზე ხარჯავს. 1925 წელს იაპონიის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც ექვსი წლის განმავლობაში იაპონიამ უნდა ააშენოს ექვსი კრეისერი და თხუთმეტი გამანადგურებელი, რაც 240 მილიონი დაჯდება.

ხმელეთის ჯარი შესდგება თექვსმეტი დივიზიისაგან, ამას გარდა გაცხარებით ტარდება მოსახლეობის გასამხედროება, განსაკუთრებით მოწაფე ახალგაზრდობის. უნივერსიტეტებში და სკოლებში საგალდებულოა სამხედრო საქმის სწავლება.

იაპონიის მთავრობის სათავეშია გენერალი ტანაკა, რომელიც ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მოწინააღმდეგეა. იაპონიის მთავრობამ უკვე გაგზავნა შეიარაღებული ძალები ჩინეთში და ცდილობს, როგორც სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, ჩინეთის რევოლუციის ჩაღრჩობას.

ალ. გორგაძე.

რა არის პინგ-პონგი?

არიან ისეთი ბავშვები, რომლებმაც არ კი იციან, რა არის პინგ-პონგი. პინგ-პონგი არც ისე ახალი თამაშობაა; ჩვენში იგი უკვე ამ უკანასკნელ ხანებში გადაიქცა მეტად მასიურ თამაშად; პინგ-პონგმა ფართო გასაქანი ჰპოვა ჩვენს მუშათა კლუბებში, ბაღებში და სხვაგან.

პინგ-პონგი ისეთივე სათამაშოა, როგორც ტენისი, მას თამაშობენ ბურთისა და რაკეტის საშვალებით. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ტენისისათვის საჭიროა გაშლილი მოედანი, პინგ-პონგისათვის კი საჭიროა ფართო მაგიდა, რომლის შუა გადაჭიმული იქნება ბადე.

მაგიდის განი უნდა იყოს 1,5 მეტრი და სიგრძე კი 2,8 მეტრი; ორი რაკეტა, 15—20 სმ. დიამეტრის, ბადე მაგიდის სიგანის და ერთი პატარა ბურთი.

ბურთი პინგ-პონგისათვის საჭიროა რაც შეიძლება მჩატე, ცელულოიდის. შეიძლება უბრალო

ბურთიც. ბურთის დიამეტრი უნდა უდრიდეს ხუთ სანტიმეტრს.

მაგიდა სუფთა ხის ფიცრებისაგან უნდა იყოს გაკეთებული, თან დასაკეცი, რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი გადატან-გადმოტანა. კარგია, თუ მას შეღებავთ. გარდა ამისა, როგორც ვიცით, საჭიროა ბადე. ამისათვის უნდა იყიდოთ 1 მეტრი და 52 სმ. 17 სმ. სიგანის თხელი ტილო, რომელსაც შეამოაკერებთ კიდეებზე უფრო მაგარ ტილოს და მას გაჭიმავთ მაგიდის შუა ადგილზე ღობედ. ამისათვის წინასწარ გაბავთ სინებს ან თხელ ჯოხებს დამაგრებთ და მათზე გააკრავთ ამ ტილოს. ამრიგად მიიღებთ ბადეს. მაგრამ იმისათვის, რომ პინგ-პონგი მზად იყოს, საჭიროა კიდევ რაკეტები. რაკეტები კეთდება ხისაგან.



პინგ-პონგის თამაშობა

მოხაზავთ ფიცარზე 15—20 სანტ. წრეს, რომელსაც შემდეგ გამოსჭრით, თან ხელის მოსაკიდებელ პატარა ტარს დაუტოვებთ—ეს იქნება რაკეტი. პინგ-პონგისათვის საჭიროა ასეთი ორი რაკეტი. რაკეტის გარდა საჭიროა ბურთი.

ბურთის გაკეთება შინ არ შეიძლება, იგი უნდა იყიდოთ სასპორტო მაღაზიაში—და პინგ-პონგი უკვე მზად იქნება. შეიძლება თამაშის დაწყებაც. თამაშობს ორი. ერთ-ერთი მოთამაშე ბურთს აძლევს. ეს ხდება ასე: მარჯვენა ხელში აიღებთ რაკეტს და მარჯვენა ხელიდან ბურთის გაგდებით გაისვრით ისე, რომ ის დაეცეს მაგიდას და შემდეგ გადავარდეს ბადის იქეთ, მოწინააღმდეგის მხარეზე. თუ ბურთი ბადეს მოხვდა, მაგრამ მაინც გადავარდა მოწინააღმდეგის არეში, თამაშს ხელმეორედ იწყებთ! თუ ბურთი მოხვდა ბადეს, მაგრამ დავარდა საკუთარ არეში, მაშინ თამაში წაგებულია და ბურთს ისვრის მოწინააღმდეგე. იმ შემთხვევაში, თუ ბურთი არ მოხვდა ბადეს, ისე გადავარდა მოწინააღმდეგის არეში, მაგრამ იქიდან სულ გადავარდა მაგიდიდან, —ბურთის მიცემა წაგებულია.

თუ ბურთი სწორედაა გასროლილი და გადავარდა მოწინააღმდეგის არეში, მოწინააღმდეგემ უნდა მოიგერიოს იგი. ეს ხდება ასე: როგორც კი ბურთი დაეცემა მაგიდაზე და ისევ ავარდება ზევით, იმ წუთშივე უნდა გასტყორცნო იგი მოწინააღმდეგის არესკენ, რომ ხელმეორედ არ დაეცეს. მხედველობაში არ იქნება მიღებული, თუ ბურთი ამ შემთხვევაში შეეხება ბადეს. მთავარია მხოლოდ, რომ ბურთი არ დაეცეს თავისსავე საზღვარში, ან არ გადასცილდეს მოწინააღმდეგის საზღვარს.

თამაშის წესი ასეთია: იწყებს რომელიმე და შემდეგ თამაშის დროს ითვლება მოგება. პირველი წაგება (ბურთის) უდრის 15 ხელს, მეორე—30, მესამე—40, მეოთხე, უკანასკნელი, კი დასასრულს ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოთამაშე 30-30 იგებს, ამბობენ თანასწორიაო, რის შემდეგ საჭიროა ვინმემ ზედიზედ მოიგოს ორი გათამაშება ბურთის და მოგება მას რჩება. ერთის მოგება კი ნიშნავს მეტს, რის შემდეგ კიდევ გრძელდება თამაში, ასე რომ, შესაძლებელია, ხან ერთი იყოს მეტი, და ხან მეორე, სანამ ერთი რომელიმე არ მოიგებს ორივეს ერთად. ეს ჩვეულებრივი თამაშია; მაგრამ როცა მოთამაშეთა რიცხვი ბევრია, მაშინ იწყებენ ეგრეთწოდებულ „ამერიკულ“ თამაშს.

„ამერიკული“ თამაშის წესი ისეთივეა, როგორც პირველის, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ თამაშობენ არა 6 ხელს, არამედ ორჯერ, მოგებული რჩება მაგიდასთან, წაგებული კი სცილდება მას, და ეს გრძელდება მანამ, სანამ ყველას არ მობეზრდება თამაში.

იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარემ მოიგო ერთ-ხელ ან ორჯერ, კიდევ თამაშობენ უკანასკნელ ხელს და გამარჯვება მას რჩება, ვინც იგებს.

პინგ-პონგი სასარგებლო სათამაშოა, იგი უვითარებს ადამიანს მხედველობას, სიმახვილეს, სისწრაფეს და სხვა მრავალ მხარეს. საჭიროა ჩვენც ვისწავლოთ ეს კულტურული თამაშობა.

სანი.

ტ ფ ი ლ ი ს ი
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ვიქტორინა

პასუხი ვიქტორინას პირველ სერიაზე

1. საქართველოში ითვლება 80.000 პიონერი.

2. წიგნი „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყანა“ დასწერა ამერიკელმა კომუნისტმა მწერალმა ჯონ რიდმა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის დროს იყო რუსეთში.

3. „მესამე თაობა“ ეწოდება პიონერებს, რადგან პარტია ითვლება პირველ თაობად, მეორედ— კომკავშირი და მესამედ კი—პიონერები.

4. ლენინი მთელ თავის სიცოცხლეში ეწეოდა დაუღალავ შრომას, ამასთანავე მან რამდენიმე, წელი ციხე-კატორღაში გაატარა. 1918 წლის აგვისტოში ის მძიმედ დასჭრა სოც. რევ. ქალმა კაპლანმა რამაც იქონია მთავარი გავლენა ლენინის ჯანმრთელობაზე.

5. სპარტაკელები ეწოდებოდა გერმანელი კომუნისტების კავშირს, რომელსაც მეთაურობდა კარლ ლიბკნეხტი.

6. საქართველოს კომკავშირის მდივანია ამხ. გ. ჯავახიძე.

7. ჩინეთის მთავარი ქალაქია პეკინი.

8. გერმანიის რევოლუც. ახალგაზრდობის ხელმძღვანელნი კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი მხეცური წამებით მოჰკლეს სოც. გამყიდველებმა 1919 წლის ზამთარში.

9. ლენინს შვილი არ ჰყოლია.

10. ალექსი პეშკოვი არის ცნობილი მწერლის მაქსიმ გორკის ნამდვილი სახელი და გვარი.

11. ეხლანდელი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ დაარსდა 1925 წლის დეკემბერში.

12. სიტყვა „პიონერი“ ნიშნავს მოწინავეს, წამომწყებს.

13. საქართველოში ყველაზე უფრო დიდი მწვანეა ალია მყინვარი.

14. ზაჰესი ამუშავდა 1927 წლის გაზაფხულზე.

15. ჯანმრთელ ადამიანს აქვს 32 კბილი.

16. „ა. კ. ი.“ არის: ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი.

17. მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წლის აგვისტოში.

18. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეა ამხ. ლ. ქართველიშვილი.

19. წითელფრონტელები ეწოდება გერმანელ რევოლუციონერთა იმ კავშირს, რომელიც იბრძვის მოსალოდნელი ომიანობის წინააღმდეგ.

20. ჟურნალი „პიონერი“ გამოდის 1926 წლის15 ოქტომბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის საჭალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.
ექვს თვეს — 3 მან.
სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი"-ს და „ოქტომგრელი"-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ბლეხ. პრ., № 91.

მთავარლიტ № 1612. შეკვ. № 1459 ტირაჟი 1000.